ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 20 მარტი, 2020 | №67 (8331) | ფასი: 60 თეთრი

## პაატა ბურჭულაძის შვილების კომპანიაში სუსი შევიდა

ცრუ შეტყობინებების გაგზავნის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს


გვ.5

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# გახარია: „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობა არ არის“


გვ.2

„ამ გამოწვევაზე ჩვენი რეაქცია არ უნდა იყოს არც შიში, არც პანიკა. ჩვენი რეაქცია უნდა იყოს თამამი და ძალზე ეფექტური“

## ნიკა ჩიტაძე: „კობახიძე ტყუილის მკადრებელია და მას არ დაეჯერება“

„200-მდე ადამიანი შეიყვანა პოლიტპატიმრების სიაში „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე და გამოუშვეს ისინი პოლიტიკური პატიმრის სტატუსით. ბუნებრივია, საქმე ორმაგ სტანდარტთან გვაქვს. არ შეიძლება გეორქიანისა და ვანო მერაბიშვილის შედარება.


გვ.2

## „მორჩა მივლინებები, ვერც გაფრინდები, ვერც მოფრინდები!“


გვ.3

რომან გოცირიძე: „სამივლინებო თანხებზე გაწერილი მილიონები ხალხს უნდა დაურიგდეს“


გვ.3

## ვახტანგ ძაბირაძე: „თუ რეგლამენტი შეიცვლება, ამაში ოპოზიციამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა“

## ანზორ აბრალავა: „ხელისუფლების ნაბიჯები გათვლილია რისკების შემცირებაზე, რასაც ყველანი გაგებით უნდა შევხვდეთ“


გვ.4

## ამირან გამყრელიძე: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს საპატრულო პოლიცია დაეხმარა, დიდი მადლობა მათ“


გვ.5

## თვითიზოლაციის რეჟიმის დარღვევისთვის კარანტინში იძულების წესით 127 ადამიანი გადაიყვანეს


გვ.5

ISSN 1987-9385

2 — 1 აპრილამდე სავაჭრო ცენტრებში არსებული 40 ობიექტი იხურება

4 — ჯონდი ბაღათურია: „პირველი შემთხვევაა, როცა ხელისუფლებას არ ვაკრიტიკებ“

5 — განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 12 წელი მიესაჯა

6 — ჩინეთში კორონავირუსის შიდა გავრცელების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა

# ნიკა ჩიტაძე: „კობახიძე ტყუილის მკადრებელია და მას არ დაეჯერება“

იაგო ნაცვლიშვილი

პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, რომ ოპოზიციასთან მოლაპარაკების დროს პოლიტპატიმრების თემა არ ყოფილა განხილული. უფრო მეტიც, კობახიძე ამტკიცებს, რომ კონკრეტულ გვარებზე საერთოდ არ შეთანხმებულან და ვერც შეთანხმდებოდნენ იმ პირობებში, როდესაც საქართველოში პროკურატურა და სასამართლო თავისუფალია. კობახიძე, თუ კორონავირუსის პანდემია გაგრძელდება, არც არჩევნების გადადებას გამორიცხავს.

რის მიღწევას ცდილობს „ქართული ოცნება“ და როგორ წარმოჩნდება დასავლეთის თვალში მისი იმიჯი? – ამ საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.



***– ირაკლი კობახიძემ პოლიტპატიმრების თემაზე თქვა, რომ იმ შეხვედრებზე, რომლებზეც ხელისუფლება და ოპოზიცია საუბრობდნენ, კონკრეტული გვარები საერთოდ არ ყოფილა დასახელებული და ვერც იქნებოდა, მაშინ როცა ოპოზიციის ლიდერები ამტკიცებენ, რომ გვარებზე იყო საუბარი. რას ცდილობს „ოცნება“?***

– ჩემი აზრით, ცდილობს, ქართველ და საერთაშორისო საზოგადოებას როგორმე დაუმტკიცოს, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ და, თუ არიან ადამიანები, რომლებიც დაპატიმრებული არიან, ისინი დაპატიმრებული არიან არა პოლიტიკური ნიშნით, არამედ იმის გამო, რომ კრიმინალური ქმედება თუ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

ერთხელ კობახიძემ ახსენა გიგი უგულავა და თქვა, რომ მან 48 მილიონი ლარი გაფლანგა, შესაბამისად, პოლიტიკურ პატიმრად ვერ განიხილება. აქ არსებობს ძალიან ბევრი კითხვა. დავიწყოთ იმით, რომ ამაზე განცხადებები კობახიძემ არ უნდა აკეთოს და ბრალდებასთან დაკავშირებით განცხადება უნდა გააკეთოს პროკურორმა და პროკურატურამ, რომელიც ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

***– ამ კონტექსტში გააკეთა ახლა განცხადება მან, როცა თქვა, რომ იმ ვითარებაში ვერ განიხილება კონკრეტულ გვარებზე თემა, როდესაც დამოუკიდებელი პროკურატურა და სასამართლო გვაქვს.***

– მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ არც პროკურატურა და არც სასამართლო დღეს დამოუკიდებელი სტრუქტურები არ არის?! ვნახეთ ისიც, როგორ ინიშნებიან გენერალური პროკურორის თანამდებობაზე პირები ან როგორ ხდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად ადამიანების გამწესება. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ არც სასამართლო და არც პროკურატურა არანაირად არ არის დამოუკიდებელი ინსტიტუციები. რეალურად ეს უწყებები „ქართული ოცნების“ ნება-სურვილს ასრულებენ.

მეორე საკითხიც არის აღსანიშნავი. როდესაც გიგი უგულავას პოლიტიკურ პატიმრად ან იმავე ვანო მერაბიშვილს და, მეორე მხრივ, იმავე გეორქიანს ან სხვა პირებს პოლიტპატიმრებად აღიარებ, ადამიანებს, რომლებიც რუსეთის აგენტები იყვნენ... ვიცით, რომ 200-მდე ადამიანი შეიყვანა პოლიტპატიმრების სიაში „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე და გამოუშვეს ისინი პოლიტიკური პატიმრის სტატუსით. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, საქმე ორმაგ სტანდარტთან გვაქვს. არ შეიძლება გეორქიანისა და ვანო მერაბიშვილის შედარება.

იმავე უგულავას საქმესთან დაკავშირებით ჩვენ კარგად ვიცით, რომ მან მოიხადა სასჯელი და ესეც ძალიან საინტერესოა, როგორ შეიძლება, ერთსა და იმავე საქმეზე თუ ე.წ. დანაშაულზე ადამიანი ციხეში ორჯერ იჯდეს. მეორე მხრივ, ძალიან ბევრი საქმეა, რომელზეც საქმეც კი არ აღძრეს, მაშინ როცა იყო ისეთი საქმეები, სადაც „ქართული ოცნების“ წევრები კორუფციულ გარიგებებში ფიგურირებდნენ, ამის მიუხედავად, ამ საქმეებზე არანაირი სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა.

გახსოვთ, რომ უგულავას დაპატიმრების მერე ბორჯომის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე დააპატიმრეს. ეს გაკეთდა იმის საჩვენებლად, რომ თითქოს ვინც ჩადის დანაშაულს საქართველოში, იქნება ეს ხელისუფლების წარმომადგენელი, მისი მომხრე თუ ოპოზიციონერი, ყველა დაისჯება. მაგრამ, მანამდე ხომ ვიცით, რომ ბევრი ადამიანის მიმართ, რომლებიც „ქართული ოცნების“ მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილი,

**„200-მდე ადამიანი შეიყვანა პოლიტპატიმრების სიაში „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე და გამოუშვეს ისინი პოლიტიკური პატიმრის სტატუსით. ბუნებრივია, საქმე ორმაგ სტანდარტთან გვაქვს. არ შეიძლება გეორქიანისა და ვანო მერაბიშვილის შედარება.**

სისხლის სამართლის არანაირი დევნა არ განხორციელებულა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარა და რეალური იყო სისხლის სამართლის დანაშაული. მაგალითისთვის კორცხელის ინციდენტის საქმეს დავასახელებ.

***– თუმცა, იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, რა რანგის პოლიტიკოსზე ვსაუბრობთ – იქნება ის ლიდერი თუ საშუალო ან დაბალი რანგის რიგითი ჩინოვნიკი?***

– რა თქმა უნდა, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. საერთო ჯამში, პრობლემაა ის, რომ როდესაც დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს, შესაბამისად, არც კანონის უზენაესობა არ არსებობს. როდესაც კანონის უზენაესობა არ არსებობს და ყველა თანასწორი არ არის კანონის წინაშე, მაშინ ქვეყანაში დემოკრატია ვერ განვითარდება და, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე უარყოფითად აისახება.



***– ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ შესაძლოა, მართლაც არ აღიარა „ოცნებამ“ პოლიტპატიმრებად, მაგრამ, როცა ყველა ამბობს, რომ კონკრეტული გვარების განხილვა იყო და ამასაც მალავს, თან იმ დროს, როდესაც შეხვედრას ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩებიც ესწრებოდნენ, ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

– ჩემი აზრით, პირველ რიგში, ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ იმ ნეიტრალურ ადამიანებს, რომლებიც ესწრებოდნენ ამ შეხვედრებს, შესაძლებელია უცხოელ დიპლომატებთან ინტერვიუს აღება. კი, ხშირად ისინი თავს იკავებენ კონკრეტული პასუხის გაცემისგან, მაგრამ მაინც შესაძლებელია. გარდა ამისა, ფაქტია, რომ იმ შეხვედრაზე იყო თუ არა ამის განხილვა, რეალო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გახარია: „საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობა არ არის“

## „ამ გამოწვევაზე ჩვენი რეაქცია არ უნდა იყოს არც შიში, არც პანიკა. ჩვენი რეაქცია უნდა იყოს თამამი და ძალზე ეფექტური“



საქართველოში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდა.

ამის შესახებ განცხადება გუშინ, 19 მარტს, საღამოს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გააკეთა.

– დღეის მდგომარეობით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა პრეზიდენტთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ, რომ როგორც კი ეს აუცილებლობა დადგება, ჩვენ შევძლებთ რამდენიმე საათში ამ გადაწყვეტილების მიღებასა და შემდგომ აღსრულებას.

ეს გადაწყვეტილება შეიძლება მივიღოთ ხვალ, ზეგ, მაზეგ და, როგორც კი ჯანდაცვის სისტემა გვეტყვის, რომ ვირუსის გავრცელების შეჩერების მიზნით ეს გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, ჩვენ ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, – განაცხადა გახარიამ.

მისივე თქმით, ყველა სავაჭრო ობიექტი, გარდა სასურსათო მაღაზიებისა, სააფთიაქო ქსელისა, საბანკო და საფოსტო გზავნილების ქსელისა, ბენზინგასამართი სადგურებისა, უნდა იყოს დახურული.

– მინდა, კიდევ ერთხელ ჩვენს მოქალაქეებს მოვუწოდო, ეს არის გლობალური გამოწვევა, ეს არის გამოწვევა, რომელზეც ჩვენი რეაქცია არ უნდა იყოს არც შიში, არც პანიკა. ჩვენი რეაქცია უნდა იყოს თამამი და ძალზე ეფექტური.

დღეს მთელი დღის განმავლობაში ჩვენ გვქონდა შეხვედრები როგორც სპეციალური უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, ასევე ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, კერძო სექტორთან, სამედიცინო სექტორთან, რომლის მზაობაც ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლისთვის არის მნიშვნელოვანი და, მე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ქვეყანა მზადაა იმისთვის, რომ ამ გამოწვევას სათანადოდ უპასუხოს, – განაცხადა გახარიამ.

მთავრობის ადმინისტრაციაში სხდომას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ხელმძღვანელობდა, მინისტრთა კაბინეტის წევრები, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ესწრებოდნენ.

# 1 აპრილამდე სავაჭრო ცენტრებში არსებული 40 ობიექტი იხურება

19 მარტიდან 1 აპრილამდე სავაჭრო ცენტრებში განთავსებული 40-მდე სავაჭრო ობიექტები დროებით დაიხურება. ინფორმაციას ამის შესახებ ქართული საცალო ბიზნესის ასოციაცია ავრცელებს.

ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოში კორონავირუსის ფონზე განვითარებულმა მოვლენებმა ბიზნესსექტორზე საგრძნობლად უარყოფითი ცვლილებები მოახდინა გაყიდვების მიმართულებით, ვინაიდან ეპიდემიის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები და გამოსცა რეკომენდაციები როგორც ქვეყნის საზღვრების ჩაკეტვის, ისე საჯარო თავშეყრის ადგილების დროებითი დახურვის შესახებ.

„გვინდა, მოგახსენოთ, რომ ჩვენი კომპანიები წარმოადგენენ და ოპერირებას უწევენ სავაჭრო ცენტრებში ან/და მოლებში განთავსებულ მაღაზიებს.

ვითვალისწინებთ რა, რომ დღეის მონაცემებით ქვეყანა კორონავირუსის შეჩერებიდან გავრცელების ეტაპზე გადავიდა, გამოცხადებულია მსოფლიო პანდემია და მნიშვნელოვანია მთელი ქვეყნის მასშტაბით ეფექტიანი და კოორდინირებული ღონისძიების განხორციელება ვირუსთან საბრძოლველად. ვემორჩილებით რა საქართველოს მთავრობის სავალდებულოდ შესასრულებელ რეკომენდაციებს, თავი ავარიდოთ დახურულ და ხალხმრავალ სივრცეებს, ამასთან, ვიჩენთ რა მაღალ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, გამომდინარე იქიდან, რომ სავაჭრო ცენტრები და მოლები და მათში განთავსებული ჩვენი ობიექტები წარმოადგენენ კორონავირუსის პოტენციურად გავრცელების კერას, მივიღეთ გადაწყვეტილება, შექმნილი ფორსმაჟორული გარემოებიდან გამომდინარე, 2020 წლის 19 მარტიდან, 2020 წლის პირველ აპრილამდე დროებით დავხუროთ სავაჭრო ცენტრებში განთავსებული ჩვენი ყველა სავაჭრო ობიექტი...

ამასთან, ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, რაც მოსალოდნელი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და სავაჭრო ცენტრების დროებითი დახურვის წანაპირობას წარმოადგენს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ აუცილებელ მზადყოფნას, ვითანამშრომლოთ სახელმწიფოს ორგანოებთან, რათა ერთობლივი ძალისხმევით და მინიმალური დანაკარგებით გამოვიდეთ არსებული რთული ვითარებიდან.

ამავე დროს, მნიშვნელოვანი იქნება როგორც ფინანსური ინსტიტუტების (ბანკების), ასევე სავაჭრო ცენტრებისა და სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერა და პროცესების ერთობლივი კოორდინირება“, – ნათქვამია განცხადებაში.

# ქართული ჯარი 21 მარტიდან ყაზარმულ მდგომარეობაზე გადადის

კორონავირუსის შესაძლო გავრცელების მაქსიმალური პრევენციის მიზნით საქართველოს თავდაცვის ძალები ყაზარმულ მდგომარეობაზე გადადის.

აღნიშნული განცხადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარ ფეისბუქგვერდზე განათავსა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, ყაზარმული მდგომარეობის დროს იზღუდება ჯარისკაცების მიერ სამხედრო ბაზის ტერიტორიის დატოვება რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ბაზაზე ვირუსის გავრცელების ალბათობას.

„ჩემი, როგორც საქართველოს თავდაცვის მინისტრის უპირველესი პრიორიტეტი ჩვენი ჯარისკაცების და მათი ოჯახის წევრების დაცვაა. სწორედ ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და 21 მარტიდან კორონავირუსის შესაძლო გავრცელების მაქსიმალური პრევენციის მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალები ყაზარმულ მდგომარეობაზე გადადის.

ყაზარმული მდგომარეობის დროს იზღუდება ჯარისკაცების მიერ სამხედრო ბაზის ტერიტორიის დატოვება. ეს პრევენციული ზომები მნიშვნელოვნად შეამცირებს ბაზაზე ვირუსის გავრცელების ალბათობას. ბაზებზე სამხედროები უზრუნველყოფილნი იქნებიან ყველანაირი საჭიროებით.

აღნიშნულ მდგომარეობაზე გადასვლა მიზნად ისახავს სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების დაცვას“, – აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი.

# ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა.

„2020 წლის 19 მარტს გამართულ საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო აუქციონზე სებ-მა 40 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა. საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 3.1564 შეადგინა“, – აღნიშნულია სებ-ის განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მორჩა მივლინებები, ვერც გაფრინდები, ვერც მოფრინდები!“

## რომან გოცირიძე: „სამივლინებო თანხებზე გაწერილი მილიონები ხალხს უნდა დაურიგდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე **რომან გოცირიძე** პასუხობს.

***– ბატონო რომან, აქტიურად გვესმის შეფასებები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, საკონსტიტუციო ცვლილებებს საფრთხე დაემუქროს. რა რისკების წინაშე დგას ახალი კანონპროექტი?***

– თუ კიდევ ერთხელ გაბედა ხელისუფლებამ ამომრჩევლისა და საერთაშორისო საზოგადოების მოტყუება, ეს იქნება მისთვის კატასტროფის ტოლფასი, იმიტომ, რომ ერთხელ ხომ გაეროს ტრიბუნიდან მოატყუა სალომე ზურაბიშვილმა, პროპორციულზე გადავდივართო და ახლა უკვე ევროკავშირიც და ამერიკის ხელისუფლებაც აქებს საქართველოს მთავრობას იმის გამო, რომ, როგორც იქნა, ოპოზიციასთან შედგა შეთანხმება.

კომპრომისი შედგა 120/30-ზე და მოიცავდა ორ მხარეს.

***– კონკრეტულად რა მხარეებს გულისხმობთ?***

– ერთი – საარჩევნო სისტემასა და საკონსტიტუციო ცვლილებებს და მეორე – პოლიტპატიმრების გათავისუფლებას.

***– ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ დგას?***

– როდესაც საუბარია პოლიტპატიმრების გათავისუფლებაზე, ხელისუფლებას აქვს ზემოქმედების ბერკეტი პროკურატურაზე, რომ შეწყვიტოს საქმეები და ციხეში მყოფი ხალხი გამოუშვას ამა თუ იმ ფორმით.

***– სიტყვა პოლიტპატიმარი ხელისუფლებისთვის მიუღებელია.***

– კი ბატონო, ხელისუფლებას ამის აღიარება არ უნდა და არც არავინ სთხოვს, არ ვაწვებით, რომ გინდა თუ არა, პოლიტპატიმრები გყავსო. ადექი და გაათავისუფლე, როგორც შეგვპირდი მოლაპარაკების მაგიდასთან.

კონკრეტულ გვარებზე იყო საუბარი, იმავე თამლიანზე, ოქრუაშვილზე, რურუაზე, უგულავაზე და ასე შემდეგ. ასე რომ, ხელისუფლებამ თავისი პირობა უნდა შეასრულოს! ჩვენ პატიოსნად შევასრულეთ ჩვენი პირობა, დავარღვიეთ ბოიკოტის რეჟიმი, რამდენიმე დღის წინ კენჭიც ვუყარეთ საკონსტიტუციო კომისიის შექმნას და მწვანე შუქი ავუნთეთ განხილვის პროცესს.

***– თქვენი მხარდაჭერის გარეშე ვერ შექმნიდნენ კომისიას?***

– კი, როგორ არა. საჭირო იყო 76 ხმა და ამის მოგროვება უმრავლესობასაც შეეძლო ჩვენ გარეშე, მაგრამ ჩვენ შევედით, ღილაკს დავაჭირეთ ხელი და გავედით! ჩვენ დავადასტურეთ ხელშეკრულების შესრულების ყველა პირობა. ახლა უკვე ჯერი არის ხელისუფლებაზე!

***– ბატონო რომან, თუკი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რა იქნება მაშინ?***

– ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ამ კორონავირუსით წარმოშობილი კრიზისი, შესაძლოა, ხელისუფლებამ გამოიყენოს საკუთარი მიზნებისთვის.

***– რა მიზნები აქვს ხელისუფლებას?***

– არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე უკვე არჩევნების გადადებაზე დაიწყეს ლაპარაკი. ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენ ხანს გასტანს ეს სიტუაცია. რა საჭიროა ამდენი ხნით ადრე არჩევნების გადადებაზე საუბარი?! როგორც ჩანს, ეს არის ანტისაარჩევნო განწყობილების შექმნა და საზოგადოების დაზაფვრა, რომ აი, არჩევნებიც კი შეიძლება გადაიდოს.

გადადება ნიშნავს ხელისუფლების შენარჩუნებას იმ ვადებით, რაც ამომრჩეველს მათთვის არ მიუცია.

***– თქვენ ვერ ხედავთ იმის საჭიროებას, რომ არჩევნების გადადებაზე ვისაუბროთ?***

– ჯერ არ ვიცით, რა სიტუაცია გვექნება. წინასწარ ამაზე საუბარი რა საჭიროა?! აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვიცით, რას მოიმოქმედებს ხელისუფლება და კიდევ ერთხელ მოინდომებს თუ არა ჩვენს მოტყუებას. ჩვენ მხარს არ დავუჭერთ საკონსტიტუციო ცვლილებას, თუკი არ იქნება შესრულებული შეთანხმების ორივე ნაწილი. ამ სიტუაციაში კი პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას. დიპლომატიური კორპუსიც ძალიან კარგად ხედავს, რომ ეს ხელშეკრულება თუ დაირღვა, ამაში მხოლოდ ხელისუფლება იქნება დამნაშავე და არა – ოპოზიცია.

***– თქვენ არ მიპასუხეთ კითხვაზე, ამ სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენად უშვებთ, რომ დადგეს არჩევნების გადადების საკითხი?***

– თუ კარანტინი გამოცხადდა, თუ ხალხი ქუჩაში ვერ გამოვიდა, თუ ის სიტუაცია შეიქმნა, რაც იტალიაშია, ცხადია, ვერც არჩევნები ჩატარდება, თუმცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ყველაფერი ექვს თვეს არ გასტანს და მანამდე მორჩება.

***– რამდენად ხედავთ იმის საჭიროებას, რომ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს? რამდენად გვაქვს გაანალიზებული, რა შედეგებს მოიტანს საგანგებო მდგომარეობა, თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით?***

– საგანგებო მდგომარეობა ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი დარჩეს სახლში. მაგალითად, სახლში გაუშვეს 1.500 ყვითელი სამარშრუტო ტაქსის მძღოლი და ეს ხალხი დარჩა უმუშევარი. ამ ადამიანებს ჰქონდათ ყოველდღიური შემოსავალი. ახლა რა უნდა ქნან ამ ადამიანებმა?!

***– და თუ რისკია დაავადების გავრცელების?***

– მაშინ იზრუნოს სახელმწიფომ ამ ადამიანებზე, რომ შიმშილი არ დაემუქროთ! ასევე დაიკეტა კაფეები, რესტორნები, სასტუმროები და მომსახურე პერსონალი, ამდენი ადამიანი დარჩა უმუშევარი! გამოვიდეს და თქვას ხელისუფლებამ, როგორ უნდა იარსებონ ამ ადამიანებმა, თორემ ასე ხელაღებით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მე ხელები დამიბანიაო, ძალიან მარტივია!

დადოს გეგმა ხელისუფლებამ, როგორ იარსებოს ამ ხალხმა? როგორ გადაიხადონ კომუნალური გადასახადები?! როგორ იყიდონ სურსათი? როდესაც აცხადებ საგანგებო მდგომარეობას, მას თან ახლავს ეკონომიკური და ფინანსური პაკეტი, რაც ნიშნავს ბიუჯეტის თავიდან შექმნასა და გადანაწილებას.

ეს ახლა მთავრობამ უნდა გვითხრას, არის ამისთვის მზად?! მათ უნდა გვითხრან, რამდენად არსებობს რისკი საგანგებო მდგომარეობის არგამოცხადების შემთხვევაში კორონავირუსის კიდევ უფრო გავრცელებისა? და ეს ზომები, რომლებიც ახლა მიიღება, არასაგანგებო რეჟიმში, არის თუ არა საკმარისი? თუ საკმარისი არ არის, ამის შესახებ ინფორმაციას ჩვენზე უკეთ მთავრობა ფლობს. არც ის არის გამორიცხული, რომ გარკვეულ ინფორმაციებს კიდევაც მალავს.

***– რა სახის ინფორმაციას გვიმალავს მთავრობა? უფრო რთულად არის საქმე?***

– სხვადასხვა სახის ინფორმაციებია, თუნდაც ის, რომ ათეულობით ათასი ადამიანია ჩარჩენილი უცხოეთში, საუბარი მაქვს ჩვენს თანამემამულეებზე. ესეც სერიოზული პრობლემაა, ჩამოიყვან, სად უნდა დაასაქმო, არ ჩამოიყვან და იქ უმუშევრები არიან. უამრავი პრობლემაა. ამიტომ აუცილებელია კონკრეტული ღონისძიებების გატარება და ჩვენც შევთავაზეთ კონკრეტული პაკეტი.

***– კერძოდ?***

– უნდა შეიქმნას 80-მილიონიანი ფონდი.

***– რატომ მაინცდამაინც 80 მილიონი და არა მეტი ან ნაკლები?***

– იმიტომ, რომ არავითარი ცვლილებები არ სჭირდება ბიუჯეტში ამ საკითხის მოგვარებას. ბიუჯეტში 100 მილიონით არის გაწერილი მივლინებების ხარჯები. მორჩა მივლინებები, დამთავრდა! ვერც გაფრინდები და ვერც მოფრინდები. აღარც აუცილებელი გამასპინძლებებია საჭირო, ეს თანხებიც გამოთავისუფლდა. ამ 100



მილიონიდან ძალიან კარგად შეიძლება სასწრაფო წესით რამდენიმე ათეული მილიონის გადადება და პირველ ეტაპზე უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს უნდა დაურიგდეთ კომუნალური ვაუჩერები 100-ლარიანი ვაუჩერების სახით. ეს უნდა იყოს პირველი ეტაპი.

ასევე პენსიონერებს უნდა დაურიგდეთ კვებისა და მედიკამენტების ვაუჩერი. დაიხურა სკოლები, ყველა დისტანციურ მეცადინეობაზე გადავიდა და სოფლებს ინტერნეტი არ აქვთ. მოატყუა ივანიშვილმა ხალხი და ეს დაპირება არ შეასრულა. სასწრაფოდ უნდა დარიგდეს ინტერნეტპაკეტები, რომ სოფლის ბავშვებსაც შეეძლოთ, დისტანციურად ისწავლონ, რადგან, არ გამოვრიცხავ, რომ დარჩენილი სემესტრი, მთელი მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი, ბავშვებს ასეთ რეჟიმში მოუწიოთ სწავლება.

ამას ჩვენ ანტიკრიზისული ვაუჩერი დავარქვით, რომელიც ამ სამი კომპონენტისგან შედგება.

# ნიკა ჩიტაძე: „კობახიძე ტყუილის მკადრებელია და მას არ დაეჯერება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბა სხვაგვარია. მაგალითად, ევროპარლამენტარებმა მიმართეს ხელისუფლებას, რომ განეხილა გიგი უგულავას საქმე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო საზოგადოების ფარგლებშიც გიგი უგულავა განიხილება, როგორც პოლიტიკური პატიმარი.

ამ შემთხვევაში უკვე პრეზიდენტის პრეროგატივა უნდა იყოს, რომ ხელისუფლებამ პრობლემა აიცილოს თავიდან. ამ შემთხვევაში ის მაინც უნდა თქვას, რომ პრეზიდენტს აქვს შეწყალების უფლება და, თუ მან შეიწყალა, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, რადგან დამოუკიდებელი სასამართლოა, ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალია პრეზიდენტი და ა.შ. ასეთ განცხადებებს „ქართული ოცნების“ მხრიდან ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

> **„იყო თუ არა კონკრეტული პატიმრების გათავისუფლებაზე საუბარი, ეს იმ დიპლომატებმა თქვან, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ“**

აქაც ბევრი რამე გამოჩნდება. თუ პრეზიდენტი შეიწყალებს, ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მოხდა ზეწოლა და ეს მაინც ნიშნავს ხელისუფლების მხრიდან იმის აღიარებას, რომ ქვეყანაში არსებობენ პოლიტპატიმრები.

***– შესაძლოა, „ოცნება“ ცდილობს, თავის ამომრჩეველს უთხრას, რომ დათმობაზე არ წასულან, მაგრამ, საერთაშორისო პარტნიორების თვალში როგორ გამოჩნდება ეს, თუ, ვთქვათ, მართლა იტყუებიან, როგორც ამას ოპოზიცია ამბობს?***

– რა თქმა უნდა, კარგად არ გამოჩნდება და ეს პირველი შემთხვევა არ არის. იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებამ აქამდეც დაარღვია პირობა, მას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე პირობა ჰქონდა დადებული, რომ პროპორციული წესით ჩატარდებოდა არჩევნები და შემდეგ ეს საკონსტიტუციო ჩასწორება ჩააგდო. რეალურად აქაც ჩანს, რომ ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით „ქართული ოცნება“ ყველაფრის მკადრებელია.

***– ამ შემთხვევაში კობახიძის იმიჯი როგორ წარმოჩნდება?***

– რა თქმა, უნდა ცუდად ჩნდება. გახსოვთ, როდესაც კორცხელის ინციდენტი მოხდა, მაშინ კობახიძემ თქვა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწყო პროვოკაცია. რაც მოხდა ხალხის წინაშე, საჯაროდ, ყველამ კარგად დავინახეთ. ამიტომ მე ასე მგონია, რომ კობახიძე ხშირ შემთხვევაში ტყუილის მკადრებელია და, აქედან გამომდინარე, მას ნაკლებად დაეჯერება.

***– მსოფლიოს წინაშე გამოწვევების ფონზე ხომ არ ხედავთ რისკს, რომ არჩევნების ჩატარებაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს და გადაიდოს? ამაზეც ისაუბრა კობახიძემ და თქვა, რომ პანდემიის პირობებში არ ჩატარდება.***

– ეს ნამდვილად არ არის გამორიცხული. საფრანგეთში კვირას გაიმართა მუნიციპალური არჩევნები და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არ გამოცხადდა საარჩევნო ურნებთან, ამიტომაც, რასაკვირველია, პრობლემები, შესაძლოა, არჩევნების გამართვასთან დაკავშირებითაც იყოს და შესაძლებელია, არჩევნები გადაიდოს კიდეც, თუმცა ოქტომბრამდე დიდი დროა. იმედი ვიქონიოთ, რომ როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში მდგომარეობა გამოსწორდება კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით და არჩევნები ჩატარდება მაშინ, როცა დაგეგმილია – 31 ოქტომბერს.

# ვახტანგ ძაბირაძე: „თუ რეგლამენტი შეიცვლება, ამაში ოპოზიციამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, რამდენად მოსალოდნელია საპარლამენტო არჩევნების გადადება? ხელისუფლება და ოპოზიციაც იმედს გამოთქვამენ, რომ ეს არ იქნება საჭირო. ამ დროს რა ხდება კონსტიტუციურად?***

– თუ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა იქნება გამოცხადებული, მაშინ კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ არჩევნები ვერ ჩატარდება. როდესაც საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოცხადდება, შემდეგ ხდება შესაძლებელი არჩევნების ჩატარება.

გამოცხადდება თუ არა საგანგებო მდგომარეობა, რთული საპროგნოზოა, მაგრამ ვხედავთ, რაც ხდება მთელ მსოფლიოში და ჩვენზე გაცილებით ძლიერი ქვეყნები ერთმანეთის მიყოლებით აცხადებენ საგანგებო მდგომარეობას, თანაც ვერავინ ამბობს, როდის დასრულდება პანდემია და რა მდგომარეობა იქნება.

საქართველოში, ფაქტობრივად, უკვე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. ხელი-



სუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ ამკაცრებს ამ მდგომარეობას. მართალია, სიტყვის თავისუფლება, კერძო საკუთრების უფლება არ არის შეზღუდული, რომელიც კონსტიტუციით იზღუდება საგანგებო მდგომარეობის დროს, მაგრამ გარკვეული უფლებები არის შეზღუდული. სრულად შეუძლია მთავრობას, აამოქმედოს საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ სწორს აკეთებს, რომ ჯერ ბოლომდე არ ზღუდავს.

***– საგანგებო მდგომარეობის ვადები რაზეა დამოკიდებული, შექმნილ ვითარებაზე თუ კონსტიტუციაში კონკრეტული ვადებია მითითებული?***

– ეს პირდაპირ არის დამოკიდებული იმ ვითარებაზე, რისთვისაც გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა. კრიზისი როდესაც გადაივლის, საგანგებო მდგომარეობაც უნდა გაუქმდეს.

რაც შეეხება არჩევნებს, ორი თვით ადრე უნდა დაიწყოს წინასაარჩევნო კამპანია. პოსტსაგანგებო რეჟიმის პერიოდი შეიძლება ბევრად უფრო მძიმე იყოს სოციალური და ეკონომიკური კუთხით. რთული ვითარება იქმნება ბევრი მიმართულებით.

***– პარლამენტის დისტანციურად მუშაობის გადასვლაზეა საუბარი, თუმცა კობახიძემ განაცხადა, რომ პარლამენტი საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი იკრიბება. ასეთი ჩანაწერია კონსტიტუციაში. სამართლებრივი თვალსაზრისით პრობლემა შეიძლება აღმოჩნდეს?***

– რთული სიტუაციაა. პრობლემა შეიძლება გაჩნდეს კიბერშეტევის თვალსაზრისით სხვა ქვეყნის მხრიდან. ეს ყველაფერი დაზღვეული უნდა იყოს. ამის დაზღვევა კი ასე ადვილი არ არის. თუმცა, თუ მართლაც ისეთი საფრთხე შეიქმნა, რომ ადამიანებს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად დაუჯდათ მუშაობა, მაშინ რეგლამენტში შეიტანენ ცვლილებას და ამ შემთხვევაში სამართლებრივად პრობლემა მოიხსნება.

თუმცა, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი იჩენს თავს: ისე არ მოხდეს, რომ ხელისუფლებამ მარტომ მიიღოს ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და რაც უნდა, ის ჩაწეროს რეგლამენტში.

***– ოპოზიცია უნდა ჩაერთოს?***

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ოპოზიციასთან ფართო კონსენსუსის საფუძველზე უნდა მოხდეს, პოლიტიკური სპექტრის ერთობლივი გადაწყვეტილება უნდა იყოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებამ გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის არ გამოიყენოს რეგლამენტში ეს ცვლილება. მკაფიო ჩანაწერი უნდა იყოს, რომ ორმაგი და სამმაგი წაკითხვისა და ინტერპრეტაციის საშუალება არ გაჩნდეს.

***– საგანგებო მდგომარეობას პრემიერის წარდგინებით პრეზიდენტი ერთპიროვნულად იღებს?***

– დიახ, ამ შემთხვევაში პოლიტიკური ოპოზიცია არაფერ შუაშია. პრემიერის წარდგინებით, პრეზიდენტი ერთპიროვნულად იღებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გადაწყვეტილებას, რასაც პარლამენტი ამტკიცებს.

# ჯონდი ბაღათურია: „პირველი შემთხვევაა, როცა ხელისუფლებას არ ვაკრიტიკებ“

გულიკო ბალაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი, „ქართული დასის“ ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** პასუხობს.

***– ბატონო ჯონდი, დღევანდელ ვითარებას როგორ აფასებთ, კორონავირუსმა ხომ არ შეგაშინათ?***

– ვითარება ძალიან რთულია, მაგრამ, ღვთის წყალობით, ისეთი არ არის, რომ ზედმეტი შიშისა და პანიკის საფუძველი გვქონდეს. ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ერის კოლექტიურ აზროვნებას. ჩვენ დღეს ვიქცევით, როგორც ერი, იშვიათი გამონაკლისების გარდა. თუ მომავალშიც ისე მოვიქცევით, როგორც ერი, ამ ვირუსის პრობლემას დავძლევთ გაცილებით წარმატებით და ნაკლები ზიანით, ვიდრე ის დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც გაცილებით მეტი პრეტენზიები აქვთ.

***– ამ სიტუაციაში მთავრობა როგორ მუშაობს?***

– პირველად ჩემს ცხოვრებაში ვეთანხმები მთავრობის მუშაობის სტილს, პირველად ცხოვრებაში მათ რეკომენდაციებს ვიზიარებ და ვასრულებ. ცოტა უჩვეულო განცდა მაქვს, მთავრობის მოსაზრებების გათვალისწინებას მიჩვეული არ ვარ.

***– ხელისუფლების კრიტიკა ყოველთვის უფრო ადვილია, ხომ?***

– არ დაგეთანხმებით, კრიტიკა ყოველთვის ადვილი არ არის. კრიტიკისა და პოლიტიკური ბრძოლის გამო ბევრ რამეზე უარის თქმა გიწევს.

***– რაზე გიწევს უარის თქმა?***

– არა მარტო შენ, არამედ შენს ოჯახსაც პირად კომფორტზე უარის თქმა გიწევს. როცა ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, მაშინ ეს აუცილებელია, მაგრამ კრიტიკა არ უნდა იყოს უაზრო და საფუძველს მოკლებული. როცა ხედავ, ადამიანი გულწრფელად შრომობს, თანაც ჭკვიანურად, გულით შრომობს (სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ახლა მთავრობის მუშაობა), ასეთ შემთხვევაში კიდეც უნდა დაეთანხმო და კიდეც ხელი უნდა შეუწყო.

ასე რომ, არა მხოლოდ ვეთანხმები ხელისუფლებას და ვასრულებ რეკომენდაციებს, არამედ, პირველი შემთხვევაა, როცა არ ვაკრიტიკებ და ხელს ვუწყობ მათ მუშაობაში.

***– გიორგი ვაშაძემ ბრიფინგი მოაწყო და მთავრობის მუშაობა გააკრიტიკა, თქვა, რომ მხოლოდ ბრიფინგების მოწყობა და ჟურნალისტებთან პოზიორობა არ არის საკმარისი. კრიტიკა უშუალოდ სწრაფი ტესტებისთვის საჭირო მასალის შემოტანას ეხებოდა.***

– ეს განცხადება უსამართლოა. ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში ერთი პრობლემა არსებობს.

***– რა პრობლემა?***

– ეს არის პოლიტიკური უმწიფრობა. ზოგიერთს ჰგონია, ოპოზიციაში ყოფნა ყველა სიტუაციაში აუცილებლად ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებების კეთებას ნიშნავს. ასე არ არის, მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეროვნულ უსაფრთხოებასა და მთელი ერის ყოფნა-არყოფნას ეხება. როცა ხედავ, ამას ჭკვიანურად აკეთებენ, იძახო, რაღაცას აგვიანებს, მე მგონი, არა მარტო უსამართლოა, არამედ არც მაინცდამაინც გონივრულია.

***– ყველას გვინდა, ტესტი გვიკეთოთ, მაგრამ ტესტის ნიმუშები არ არისო. ეს იყო გიორგი ვაშაძის აღშფოთების მიზეზი.***

– მართლა ასე თქვა?

***– დიახ, ასე თქვა.***

– რომელ მაგათთვის მისაბაძ სახელმწიფოში არსებობს, ყველა რომ იკეთებს ტესტს? კრიტიკით, შეიძლება, ბევრი რამ გავაკრიტიკოთ, მაგრამ ის, რასაც ახლა მთავრობა, საგანგებო სიტუაციების მართვის საბჭო აკეთებს, კარგად ორგანიზებულია და ჩანს, რომ ადამიანები გულით მუშაობენ. ამას დანახვა უნდა. იდეალური არაფერი არსებობს, მაგრამ კონკრეტულად ეს ბრალდება თან უსამართლოა და თან – ტყუილი. ტესტები არის და მაქვს ინფორმაცია, რომ დამატებითი ტესტებიც შემოაქვთ.

***– ეს, მგონი, განაცხადეს კიდევაც.***

– სწორედ მთავრობა გეგმავს ე.წ. აგრესიული ტესტირების ტაქტიკაზე გადასვლას, რაც მაქსიმალურად ბევრი ადამიანისთვის ტესტირების ჩატარებას ნიშნავს. ზოგჯერ, როდესაც ადამიანს შემოქმედებითი ნიჭი და უნარი არ აქვს, რაღაცას გაიგებს და დაასწრებს თქმას. შეიძლება, გაიგეს და დაასწრეს, აი, ხომ ვთქვიო.

***– დაასწრეს?***

– ოპოზიციის შეფასება არ მინდა. ჩემი ფუნქცია ეს არც არის. მე ვაფასებ ხელისუფლებას, რომლის მიმართაც ვიყავი და ვარ კრიტიკული, მაგრამ კორონავირუსთან ბრძოლის საკითხში შექმნილი საგანგებო სიტუაციის მართვას მთავრობა ჯერჯერობით, ჯვარი სწერია და საქმეს კარგად უძლვება.

ვერ ვიტყვი, რომ უკეთესად არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უკეთესადაც, მაგრამ, მთლიანობაში, მთავრობას ახლა მხარდაჭერა სჭირდება. ეს არა მარტო მორალური, არამედ ნაციონალური პოზიციაც არის. ახლა არც ერთ შემთხვევაში არ გვაწყობს მთავრობის წაბორძიკება. თქვენ გაწყობთ?

***– არა, რა თქმა უნდა.***

– არ გვაწყობს.

***– ახლა ჩვენ ხომ საქმე გვაქვს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. თქვენ ხშირად გაგიკრიტიკებიათ ნაციონალები და მიხეილ სააკაშვილი. ადამიანები დიდი ინტერესით უსმენდნენ თქვენს გამოსვლებს პარლამენტში. სხვათა შორის, თქვენს კრიტიკას ისინი ვერ იტანდნენ.***

– ჰო, აშკარად ჩემზე აჭრილები იყვნენ.

***– ალბათ გააზრებული გაქვთ, ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორ შეიძლება გამოვიდეთ ამ პრობლემიდან, როდესაც, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიო დაპაუზებულია.***

– ჩვენ დღეს უნდა ვიფიქროთ არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელ დღეზე, ამ პრობლემას რომ დავძლევთ, მერე რა იქნება. მე მოვუსმინე პრემიერ-მინისტრს და ის სწორედ ამაზე ფიქრობს. ახლა ყველაზე ჭკვიანური, რაც ხალხმა, ერმა და მთავრობამ უნდა გააკეთოს, ის არის, რომ ქართველები სოფელს შეუსიოს.

***– ქართველები სოფელს უნდა შევესიოთ.***

– დიახ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. სოფლის მეურნეობა არის ის ხერხემალი, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკა უნდა გადაარჩინოს. საქართველოს სახელმწიფომ არა მარტო სურსათის უსაფრთხოებასა და სურსათით უზრუნველყოფას, არამედ დასაქმება და მთლიანად ეკონომიკა უნდა ამუშაოს.

***– პრიორიტეტი რა უნდა იყოს?***

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, საქართველომ პრიორიტეტად აირჩიოს არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ საკვები პროდუქტებს პლუს მისი დამზადება და წარმოება. მხოლოდ სოფლის მეურნეობის აღორძინება არ არის საკმარისი, თუ მას გასაღების ბაზარი არ აქვს.

დღეს მსოფლიოში სურსათის წარმოება ჭარბია. ძალიან მდიდარი კომპანიები, იმისათვის, რომ ფასები არ დაეცეს, თავიანთ მიერ ნაწარმოებ ჭარბ პროდუქციას ყრიან და ანადგურებენ. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება კარგია, მაგრამ ამას უნდა ახლდეს კვების პროდუქტების დამზადების ფუნქცია.

***– ანუ ამ ვირუსმა შეიძლება სარგებელიც მოგვიტანოს?***

– ამ ჭირმა რამდენიმე სარგებელიც მოიტანა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის. ეკოლოგიურად ძალიან დიდი შვება იქნება სამყაროსთვის.

## უდაბნოს კალიის მიგრაცია საქართველოში არ დაფიქსირდება!

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს იტალიური და მაროკოული კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რომლებიც ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოში – კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

მავნებლის მონიტორინგისა და პრევენციის მიზნით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, ყოველწლიურად ტარდება ტრანსსასაზღვრო რეგიონული კვლევები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, იტალიური კალიის პოპულაცია კონტროლირებადია, რაც ხელს უწყობს მწვანე საფარის შენარჩუნებასა და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას.

იტალიური კალიის გარდა, საქართველოში გავრცელებულია კალიის სხვა ენდემური სახეობები, რომლებიც არ წარმოადგენენ საფრთხეს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ყოველწლიურად აქვეყნებს სხვადასხვა სახეობის, მათ შორის მიგრაციის რუკას უდაბნოს კალიისა, რომელიც გავრცელებულია აფრიკის კონტინენტზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ერაყისა და ირანის სამხრეთ ნაწილში. აღნიშნული მავნებელი საქართველოს ტერიტორიაზე არასდროს დაფიქსირებულა და, ორგანიზაციის 2020 წლის პროგნოზით, მავნებლის გეოგრაფიული არეალის გაზრდა და მისი შემოჭრა საფუძველს მოკლებულია.

# ანზორ აბრალავა: „ხელისუფლების ნაბიჯები გათვლილია რისკების შემცირებაზე, რასაც ყველანი გაგებით უნდა შევხვდეთ“

მარიამ მჭედლიშვილი

ეპიდემიოლოგიური სიტუაცია მოქალაქეებისგან თავის წილ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ხელისუფლების ზოგიერთი ანტივირუსული ზომა უკმაყოფილებას იწვევს. კრიტიკა გაისმის ოპონენტების მხრიდანაც. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ **ანზორ აბრალავას**.

***– მოსახლეობის დიდი ნაწილი როგორც რეგიონებში, ისე დედაქალაქში ნეგატიურად შეხვდა სამარშრუტო ტაქსების აკრძალვას. თბილისში ბევრს ვერ გაუგია, რატომ უნდა გადაჯდეს დიდ ავტობუსში, სადაც ასევე არსებობს დაინფიცირების საფრთხე.***

– ეს არის რისკის შემცირება. ხელისუფლების ნაბიჯები გათვლილია რისკების შემცირებაზე, რასაც ყველანი გაგებით უნდა შევხვდეთ. ავტობუსში არსებობს მოძრაობისა და მანევრირების საშუალება, მეტი სივრცე, მეტი ჰაერი. სამარშრუტო ტაქსებში ნაკლები სივრცეა. ამიტომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

ნუ ვიფიქრებთ, რომ მთავრობამ უნდა მოგვიაროს, ჩვენ კი პასუხისმგებლობა არ გვაქვს. ყველას გვაკისრია პასუხისმგებლობა. მე, როგორც ერთი მოქალაქე, ვცდილობ, შევასრულო მთავრობის რეკომენდაციები. ვერიდები კონტაქტებს, თუ გავდივარ, ვიყენებ პირბადეს და თან დამაქვს სადეზინფექციო ხსნარები.

ხელისუფლება შეიძლება ბევრი რამის გამო აკრიტიკო, მაგრამ ამ ვითარებაში მისი მოქმედებები სანიმუშოა. ჩვენი მთავრობა დიდი ბრიტანეთის მთავრობაზე უფრო ორგანიზებული და ოპერატიული აღმოჩნდა. მედიკოსები, ამირან გამყრელიძით, პაატა იმნაძით დაწყებული, თენგიზ ცერცვაძითა და სხვებით დამთავრებული, ქება-დიდებას იმსახურებენ. ამირან გამყრელიძეს პირადად ვიცნობ. ვიცი მისი დამოკიდებულება ქვეყნისა და ხალხის მიმართ. ის ღირსეული პიროვნებაა. ამ მედიკოსებმა დაამყარეს ღია ურთიერთობა ხალხთან. ისინი გვაწვდიან ახალ ინფორმაციას და გვაიმედებენ.

***– არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს ხელისუფლება ხალხს პანიკაში აგდებს.***

– ამას არ ვეთანხმები. პირიქით, გვაწვდიან ინფორმაციებს ახალ კორონავირუსზე, გვაძლევენ რეკომენდაციებს და გვამშვიდებენ. ზოგიერთი ადამიანი ყველაფერზე ეჭვს გამოთქვამს. ეტყობა, ეს აზრი ასეთებისგან მოდის. ხელისუფლების ოპოზიციაც არ იშლის თავდასხმებს. გამოდიან და ამ მედიცინის სანაქებო მუშაკებს ჩირქს სცხებენ.

***– რას გულისხმობთ?***

– ბოკერიას პარტიის წევრი ჭიაბერაშვილი რომ ამირან გამყრელიძეს შეუტევს, სასაცილო არ არის? ჭიაბერაშვილის მინისტრობისას იყო საუკეთესო მდგომარეობა? არაფერიც არ იყო. თუმცა, ამათგან რა უნდა გაგიკვირდეს. ვირისგან წიხლი რა საწყენია! ეს პოლიტიკანური წვრილფეხობა მედიცინის თავდადებულ მუშაკებს ვერაფერს დააკლებს. ამათ რომ უსმინო, კორონავირუსის წარმოშობა საქართველოს ხელისუფლების ბრალია. იმას არ იმჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დიდი უნარი გამოიჩინა. გამოჩნდა ჩვენი ხალხის ნიჭიც და ნაწილის უპასუხისმგებლობაც.

***– უპასუხისმგებლოებს იმათ მიაკუთვნებთ, ვინც იზოლაციის წესებს არღვევს?***

– რასაკვირველია. ეს საშინელი საქციელია. ამით ეს დამრღვევი პირები საფრთხეს უქმნიან საკუთარ თავსაც, თავის ახლობლებსაც და მთელ საზოგადოებას.

***– ამ ექსტრემალურ სიტუაციაში მთავრობა ალაპარაკდა საკუთარი წარმოების აუცილებლობაზე და იმაზე, რომ იმპორტზე ნაკლებად უნდა ვიყოთ დამოკიდებული. აქამდე მარტო ტურისტების იმედი ჰქონდათ?***

– რასაკვირველია, აქამდეც კარგი იქნებოდა დაბალანსებულ მწარმოებლობაზე გადასვლა. ამაზე „ახალ თაობასთან“ ადრე მისაუბრია. გვიან ახლაც არაა. კონკურენტული ბაზრის პირობებში უნდა განვავითაროთ წარმოება. მაგალითად, მისასალმებელია პირბადეების გამოშვება.

***– ამბობენ, რომ ეს ფაბრიკებისათვის მიცემული ერთჯერადი შეკვეთაა.***

– ჩემი აზრით, პირბადეების წარმოება უნდა გაგრძელდეს. გვექნება პროდუქცია და ხალხი დასაქმდება. ოღონდ, არ უნდა აიკრძალოს იმპორტი. ჩვენი პროდუქცია უნდა იყოს კონკურენტუნარიანი. ჩვენ თუ სხვას ჩავუკეტავთ ბაზარს, სხვები კი – ჩვენ, მივალთ ნატურალურ მეურნეობამდე.



**„ჩვენი მთავრობა დიდი ბრიტანეთის მთავრობაზე უფრო ორგანიზებული აღმოჩნდა“**

უნდა არსებობდეს სამართლიანი კონკურენცია. ლობისტები რომ რომელიღაც იმპორტს ეფაფრებიან, ესეც დასაგმობია. ქვეყანაში სხვა რეალობა დადგა. შემზღუდავ ზომებთან ერთად წარმოებაზეც ავლაპარაკდით. ვიღას ახსოვს საარჩევნო ფორმულა 120:30! ხალხს ეს საკითხი არ აინტერესებს. ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება გაუფერულდა.

***– ამ შეთანხმებას, რომლის მიხედვით, 2020 წლის პარლამენტში 120 მანდატი პარტიული სიით დაკომპლექტდება, ნაციონალების გამარჯვებად მიიჩნევთ?***

– ცხადია. ნაციონალებისთვის ისიც გამარჯვებაა, რომ პროკურატურის მაგივრად მათ მრგვალ მაგიდასთან პოლიტიკურ საკითხებზე ეთათბირებიან. ამის გამო კი ნამდვილად ვაკრიტიკებ ხელისუფლებას.

„ქართული ოცნება“ შეცდომას უშვებს, რომ ნაცმოძრაობას და მის გარშემო შეკრებილ პარტიებს ელაპარაკება. ჩვენთან ხომ ნამდვილი პოლიტიკური პარტიებიც არ არსებობს! მათ მაგივრად, ჯობია, ორგანიზებულ ჯგუფებს, სპეციალისტებს მოეთათბიროს. მაგალითად, ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკის და სხვა დარგებში. ამ ხალხს საზოგადოებრივი მაუწყებელიც უგულებელყოფს. აღარაფერს ვამბობ პარტიულ ტელევიზიებსა და იმ არხებზე, რომლებიც პოლიტიკაში მოსვლის სურვილით შეპყრობილ ბიზნესმენებს ეკუთვნით!

ეს პარტიული ტელევიზიები პოზიტივს ვერ ამჩნევენ. ისინი იგნორირებას უკეთებენ იმასაც, რომ ფონდი „ქართუ“ ჩაერთო კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს პატარა ამბავი არ არის. ამ სიტუაციაში სამარცხვინო და ამაზრზენი იყო სააკაშვილის კიდევ ერთი ავანტიურა.

***– რომელი ავანტიურა?***

– რომ გამოვიდა და დაიძახა, ივანიშვილს სახლში 800 მილიონი უდევსო. ამ ავადმყოფური შეძახილით, ეტყობა, უნდოდა, ხალხი დაერაზმა.

***– როგორ თუ ხალხი დაერაზმა?***

– სააკაშვილს ეგონა, ამით ხალხს გააღიზიანებდა და ადამიანები ივანიშვილს მიუცვივდებოდნენ. ციხეში სააკაშვილი უნდა იჯდეს და არა სხვები, რომლებიც მის გამო სხედან.

***– ვისზე საუბრობთ? პოლიტიკური ნიშნით დაკავებულებზე?***

– მაგალითად, ოქრუაშვილსა და რურუაზე. ოქრუაშვილი და რურუა სააკაშვილის ავანტიურების გამო სხედან ციხეში. 20-21 ივნისის მოვლენების დროსაც და შემდეგაც სააკაშვილი ქოქავდა მოვლენებს, არ ეშვებოდა რევანშისტულ იდეებს.

სააკაშვილი ისევ ბევრს ლაპარაკობს, სხვები კი ზარალდებიან. ვინც ისევ სააკაშვილის მომხრეა და არჩევნებში ნაცმოძრაობას მისცემს ხმას, ის ადამიანები ნორმალურებად არ მიმაჩნია.

ისინი კორონავირუსზე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენენ.

# პაატა ბურჭულაძის შვილების კომპანიაში სუსი შევიდა

## ცრუ შეტყობინებების გაგზავნის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს

18 მარტს საღამოს, ემეს ჯგუფის ოფისში სამართალდამცველებმა ჩხრეკა ჩაატარეს.

ჩხრეკა ჯანდაცვის სამინისტროს სახელით ყალბი მესიჯების გავრცელების გამო მიმდინარეობდა.

ოფისში განთავსებული კომპანიის მფლობელები პაატა ბურჭულაძის შვილები, შუქრი და ლექსო ბურჭულაძეები არიან. ადვოკატ მიხეილ რამიშვილის განცხადებით, ძმებ ბურჭულაძეებს აღნიშნულ საქმესთან შეხება არ აქვთ.

როგორც შუქრი ბურჭულაძე მედიასთან ყვება, მესიჯები ერთ-ერთმა თანამშრომელმა ხუმრობით გაავრცელა. მისივე თქმით, მათი კომპანიიდან მხოლოდ 6 მესიჯი გაიგზავნა, თანამშრომელი კი სამსახურიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.

მოგვიანებით შუქრი და ლექსო ბურჭულაძეებმა განცხადება გაავრცელეს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მათი კომპანიის თანამშრომლის მხრიდან ადგილი ჰქონდა ცუდ ხუმრობას, როდესაც მან ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

„სამწუხაროდ, ჩვენი კომპანიის თანამშრომელმა ცუდად იხუმრა და ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა დედას, დას და ორ მეგობარს, ერთი შეტყობინება კი საკუთარ თავს გაუგზავნა მეორე ნომერზე. აღნიშნული ტექსტური შეტყობინება არ შეიცავდა პანიკის გამომწვევ შინაარსს და არც სხვა პირებზე ან სხვა ნომრებზე არ გავრცელებულა, მხოლოდ ზემოაღნიშნულმა ხუთმა პირმა მიიღო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია ტექსტურ შეტყობინებაზე და არა ხმოვან გზავნილზე.

ეს ფაქტი კომპანიის მენეჯმენტისთვის გუშინ გახდა ცნობილი და ზემოაღნიშნული თანამშრომელი გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან“, – ნათქვამია განცხადებაში.

ასევე ძმები ბურჭულაძეები აღნიშნავენ, რომ მათთვის გაუგებარია, რა საჭიროებიდან გამომდინარე დაიწყო სპეცოპერაცია მათ ოფისში და გარკვეულ ეჭვებზე მიანიშნებენ.

16 მარტს კორონავირუსთან დაკავშირებით გაგზავნილი შეტყობინებების თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა ჯანდაცვის სამინისტრომ.

უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ყალბია სმს შეტყობინება, რომ კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყნის საკარანტინო ზონად გამოცხადება იგეგმება.

„მოქალაქეთა ნაწილს მოკლე ტექსტური შეტყობინებით დაეგზავნა ინფორმაცია, თითქოს ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით მთელი ქვეყნის საკარანტინო ზონად გამოცხადება იგეგმება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და კარანტინის გამოცხადება ამ ეტაპზე არ იგეგმება. ჯანდაცვის სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, გაითვალისწინონ მსოფლიოში და ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და გამოიჩინონ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა“, – ნათქვამი იყო განცხადებაში.



გუშინ, 19 მარტს, პაატა ბურჭულაძის შვილები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიბარეს.

შუქრი და ალექსანდრე ბურჭულაძეების გამოკითხვის დასრულების შემდეგ ალექსანდრე ბურჭულაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გამომძიებლებს მათ ინფორმაცია მიაწოდეს მათივე კომპანიის თანამშრომლის მიერ გაგზავნილ სმს შეტყობინებებზე.

– გამოძიება დაინტერესებული იყო ჩვენი კომპანიის სტრუქტურისა და თანამშრომლების შესახებ. უდიდესი ნაწილი დავუთმეთ გაგზავნილ 6 სმს-ს, თუ რა ინფორმაციას ვფლობდით. რასაკვირველია, ყველა ინფორმაცია მივაწოდეთ. მასობრივ გაგზავნაზე, რასაც გამოხმაურება მოჰყვა ჩვენ მიმართ, ერთი კითხვაც არ დასმულა, – განაცხადა ალექსანდრე ბურჭულაძემ.

ადვოკატი მიხეილ რამიშვილი გამორიცხავს, რომ ამ საქმის გამო მისი დაცვის ქვეშ მყოფების, ძმები ბურჭულაძეების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

– გამორიცხულია ასეთი რამ, იმიტომ, რომ მათი კომპანიისა და პირადად მათ მიმართ არანაირი დანაშაულის ნიშნები არ არსებობს. შესაბამისად, თუ რომელიმე პასუხისმგებლობაში იქნება მიცემული, რომელთა უფლებებს მე ვიცავ, ეს არის ალექსანდრე და შუქრი ბურჭულაძეები, ეს კიდევ ერთი უარესი ქმედება იქნება, განხორციელებული მათი ოჯახის მიმართ, – აღნიშნა რამიშვილმა.

ამასთან, ადვოკატმა სამართალდამცავებს მოუწოდა, უკან დააბრუნონ ბურჭულაძეების კუთვნილი ნივთები, რომლებიც ჩხრეკის შემდეგ წაიღეს.

მისივე თქმით, ძმებმა გამოძიებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

❖ ❖ ❖

გუშინვე სუსმა აღნიშნულ საკითხზე განცხადება გააკეთა.

„2020 წლის 16 მარტს საქართველოს მთავრობამ შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტისა“ და შპს „ვიონი საქართველოს“ მეშვეობით მოქალაქეებს ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით ოფიციალური შეტყობინებები გაუგზავნა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების დაცვისკენ მოუწოდა.

ამის შემდეგ პირთა ჯგუფმა საქართველოს რიგ მოქალაქეებს „მთავრობისა“ და „ჯანდაცვის“ სახელით გაუგზავნა ცრუ შეტყობინებები ვირუსის გავრცელების მასშტაბების, ნეგატიური შედეგებისა და ხელისუფლების მიერ მიღებული ვითომდა გადაჭარბებული ზომების შესახებ.

აღნიშნული ქმედებით ისინი შეეცადნენ, მსოფლიოში გამოცხადებული ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, დეზინფორმირების გზით, უარყოფითი ზემოქმედება მოეხდინათ მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და დაეთესათ პანიკა და ქაოსი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლიდა სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ცრუ შეტყობინებების გავრცელებისთანავე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში მყისიერად დაიწყო გამოძიება და დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირთა გამოვლენის და შემდგომში დეზინფორმაციული შინაარსის მქონე შეტყობინებების საქართველოს მოსახლეობაში გაგზავნის პრევენციის მიზნით ინტენსიურ რეჟიმში გატარდა ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები.

დადგინდა, რომ შეტყობინებების გაგზავნა განხორციელდა კომპანიების ესემესოფისისა და ემესჯგუფის სერვისების მეშვეობით.

აღნიშნულ კომპანიებში სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარდა ჩხრეკა, რომლის შედეგადაც ნივთმტკიცებად ამოღებულია კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონები და ინფორმაციის შემცველი სხვადასხვა ელექტრომოწყობილობა.

ამ ეტაპისთვის საქმეზე გამოკითხულია ათეულობით მოწმე და მიმდინარეობს ცრუ შეტყობინებების გავრცელებაში მონაწილე სხვა პირთა დადგენა მათთან შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით.

გამოძიებას საბოტაჟის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 318-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს“, – ნათქვამია სუსის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ ნათია მერებაშვილი დაინიშნა



საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ ნათია მერებაშვილი დაინიშნა.

მანამდე მერებაშვილს საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ეკავა.

„საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საკადრო ცვლილება განხორციელდა. გენერალური პროკურორის მოადგილედ ნათია მერებაშვილი დაინიშნა. მანამდე ნათია მერებაშვილს საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ეკავა. საქართველოს პროკურატურაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები მიმართულია სისტემის ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლებისა და განვითარებისკენ“, – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

# თვითიზოლაციის რეჟიმის დარღვევისთვის კარანტინში იძულების წესით 127 ადამიანი გადაიყვანეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ზუგდიდის ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, კარანტინში იძულებით გადაიყვანეს თვითიზოლაციის რეჟიმის დამრღვევი პირი, რომელიც 2020 წლის 18 მარტს თბილისიდან ზუგდიდის მიმართულებით მგზავრობდა და არღვევდა თვითიზოლაციის წესებს.

გორის რაიონში გადაადგილებისას, სხვა მგზავრების მითითების შემდეგ, ის ჩამოვიდა ტრანსპორტიდან.

თვითიზოლაციის რეჟიმის დამრღვევი პირი სპეციალური ავტომანქანით ქ.ბათუმში მდებარე საკარანტინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, 24-საათიან, საგანგებო რეჟიმში მუშაობას განაგრძობს.

სამინისტროს თანამშრომლები, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მასშტაბით, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს აქტიურად ახორციელებენ.

ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის კიდევ 28 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

იმერეთის, სამეგრელოს, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და აჭარის რეგიონებიდან, ასევე, თბილისიდან მოქალაქეები, რომლებმაც თვითიზოლაციის წესები დაარღვიეს, საკარანტინო ზონაში იძულებით არიან გადაყვანილი.

ამ დროისათვის, თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში, იძულების წესით, ჯამში, 127 ადამიანია გადაყვანილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და პატივი სცეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის გადაწყვეტილებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ აღნიშნულ რეგულაციებს.

# ამირან გამყრელიძე: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს საპატრულო პოლიცია დაეხმარა, დიდი მადლობა მათ“

– სამართალდამცავი უწყებები და პოლიცია ძალიან გვეხმარება კარანტინისა და თვითიზოლაციის წესების დაცვაში და სერიოზულად გაუმჯობესდა მდგომარეობა მას შემდგომ, რაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებს საპატრულო პოლიცია დაეხმარა.

მადლობა მათ იმიტომ, რომ რეჟიმი გამკაცრდა, რეჟიმი უფრო მეტად, უფრო კარგად დაცულია, ვიდრე როდესაც კარანტინისა და თვითიზოლაციის დაცვის წესებს მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვა ამონიტორინგებდა.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებში ინტენსიური სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება



საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მთელი საქართველოს მასშტაბით შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებში სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლებისგან დაკომპლექტდა სამუშაო ჯგუფები.

ჯგუფის წევრებს გავლილი აქვთ უსაფრთხოების შესაბამისი ტრენინგები. ისინი სპეციალური სადეზინფექციო-სადისპერსიო აღჭურვილობითა და შესაბამისი ეკიპირებით, საქართველოს მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში სადეზინფექციო სამუშაოებს ჩაატარებენ.

რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები უკვე ჩატარდა და შესაბამისი ხსნარებით დამუშავდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის რუსთავის ფილიალის შიდა და გარე პერიმეტრი, ოპერატორთა ცენტრალური დარბაზი, შეხვედრების და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები. ასევე, სპეციალური ხსნარებით დამუშავდა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სხვადასხვა სამმართველოს სამუშაო სივრცეები, შიდა ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების შიდა და გარე პერიმეტრები.

დეზინფექცია ჩატარდა მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტების შენობების სრულ პერიმეტრზე, მათ შორის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკების ეფექტიანი მართვის მიზნით სადეზინფექციო სამუშაოები შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის სტრუქტურულ ერთეულებში მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგულარულად ჩატარდება.

# განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 12 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ბ.ც.-ს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობაში, სხვაგვარ ძალადობასა და ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევაში ბრალდებული ბ.ც. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 6 დეკემბერს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში, ბ.ც.-მ მისივე საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ვ.ჭ. – ს გულმკერდისა და კისრის არეში ნაჯახით ჭრილობები, ხოლო ა.გ.-ს დანით დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობების შედეგად ვ.ჭ. ადგილზე გარდაიცვალა.

ასევე, ბ.ც. 2019 წლის 7 დეკემბერს, მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ შევიდა იმავე სოფელში მდებარე ვ.ტ.-ს საცხოვრებელ სახლში, რითაც დაარღვია ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობა.

სამართალდამცველებმა ბ.ც. 2019 წლის 8 დეკემბერს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა (სხვაგვარი ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი) და 160-ე მუხლის პირველი ნაწილით (ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ბ.ც. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ბაიდენმა კვლავ გაიმარჯვა




აშშ-ის დემოკრატიულ პარტიაში პრაიმერიზი დასასრულს უახლოვდება. ექსვიცეპრეზიდენტმა ბაიდენმა კიდევ სამ შტატში, ფლორიდაში, ილინოისსა და არიზონაში გაიმარჯვა. ბაიდენის გამარჯვება განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფლორიდაში, სადაც მას 73%-მა დაუჭირა მხარი, სანდერსს კი – 23%-მა.

ამ გამარჯვების შედეგად ბაიდენი სანუკვარ მიზანს მიუახლოვდა. როგორც ჩანს, დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი სწორედ ის იქნება, თუმცა სათანადო გადაწყვეტილება დემოკრატიული პარტიის ყრილობამ უნდა მიიღოს.

ბაიდენს გამარჯვებისათვის 1911 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება, დღეისთვის კი მხოლოდ 1147 გააჩნია. მის ოპონენტ ბარნი სანდერსს 816 დელეგატის ხმა აქვს. ბაიდენი უდავოდ ფავორიტია, მაგრამ იმის თქმა, რომ პრაიმერიზში საბოლოოდ გაიმარჯვა, ნაადრევია.

ბევრი პოლიტოლოგი ბაიდენს გუშინდელი დღის პოლიტიკოსად აღიქვამდა. პრაიმერიზის პირველ რაუნდებში ბაიდენმა მარცხი განიცადა. ვითარება ძირეულად მხოლოდ სუპერსამშაბათის შემდეგ შემობრუნდა. მაშინ ბაიდენმა წარმატებას ერთდროულად ათ შტატში მიაღწია. ექსპერტების აზრით, ეს ამჟამინდელმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა.

სანდერსი პოპულისტია, რაც მისი მკვეთრად მემარცხენე პროგრამიდან კარგად ჩანს. მისი პროგრამის განხორციელება შეუძლებელია.

სანდერსისგან განსხვავებით, ბაიდენი არ ჰპირდება ხალხს იმას, რაც მათ სურთ (უფასო ჯანდაცვა და ა.შ.). ამავე დროს, ის პროფესიონალი პოლიტიკოსია. მას შესწევს ძალა, ყველა იმ გამოწვევას გაუმკლავდეს, რომლის წინაშეც ამერიკა და მთელი მსოფლიო აღმოჩნდა. ხალხმაც თავისი არჩევანი გააკეთა. ბაიდენი, რომელიც წარსულის ფიგურად აღიქმებოდა, დღევანდელი დღისთვის აქტუალური გახდა.

# ალექსანდრე ლუკაშენკო: „ამ კორონავირუსს ვუწოდებ ფსიქოზს“



ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს თქმით, ის კორონავირუსს სხვას ვერაფერს უწოდებს, თუ არა ფსიქოზს.

– მიუხედავად გარკვეული კრიტიკისა ჩემ მიმართ, მე ამ კორონავირუსს სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა ფსიქოზს და სულ ასე იქნება. თქვენთან ერთად მეც ბევრი ფსიქოზი გადავიტანე და ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს არსად არ მიგვიყვანს, – განაცხადა ლუკაშენკომ.

მისივე თქმით, ვირუსისგან გამოწვეული პანიკით უფრო მეტი ადამიანი დაზარალდება, ვიდრე თავად დაავადებით.

– ასე რატომ ვიქცევი? იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, პანიკით უფრო დავიტანჯებით, ვიდრე თვითონ ამ ვირუსით და ეს ყველაზე მეტად მაწუხებს, – აღნიშნა ბელარუსის პრეზიდენტმა.

# ჩინეთში კორონავირუსის შიდა გავრცელების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა



უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ჩინეთში კორონავირუსის შიდა გავრცელების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, თუმცა ქვეყანაში ვირუსის იმპორტირების რიცხვი გაიზარდა.

კერძოდ, ვირუსის იმპორტირებულთა რიცხვმა 34-ს მიაღწია.

ცნობისთვის, ამ დროისთვის ჩინეთში კორონავირუსის სულ 80.928 შემთხვევაა დაფიქსირებული, საიდანაც 70.420 პირი უკვე გამოჯანმრთელდა.

# ყოფილი სილამაზის დედოფალი აშშ-მექსიკის საზღვარზე აღმართული კედლიდან ჩამოვარდა და დაიღუპა



ფეხმძიმედ მყოფი გვატემალელი ყოფილი სილამაზის დედოფალი მექსიკასა და აშშ-ს შორის აღმართული კედლიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

19 წლის მშობლიური ქალაქის ყოფილი სილამაზის დედოფალი მირიამ ესტეფანი გირონ ლუნა შეეცადა, ლითონის კედელზე გადამძვრალიყო, რომელიც მექსიკისა და აშშ-ის საზღვარზეა აღმართული, რათა უკანონოდ გადაეკვეთა საზღვარი. ქალი შვიდი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები მიიღო.

ლუნა რვა თვის ფეხმძიმე იყო. ექიმებმა სასწრაფოდ საკეისრო კვეთა გაუკეთეს, თუმცა ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ლუნას 26 წლის პარტნიორი დილვერ ისრაელ დიას გარსია მომხდარის თვითმხილველი გახდა და მომხდარის თაობაზე მაშინვე სასაზღვრო პატრულს აცნობა.

# მოსწავლემ ეჭვიანობის ნიადაგზე სამი წლის ძმა მოკლა




გერმანიის ქალაქ დეტმოლდეში 15 წლის სკოლის მოსწავლემ ეჭვიანობის ნიადაგზე საკუთარი სამი წლის ძმა მოკლა და კედელზე მისი სისხლით დედას შეტყობინება დაუტოვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედამ თავის უფროს გოგონას სთხოვა, სანამ სახლში დაბრუნდებოდა, ძმისთვის ყურადღება მიექცია. სანამ ბავშვს ეძინა, ნახევარდამ მას დანით 28 ჭრილობა მიაყენა, შემდეგ კი ცადა, მიმალულიყო. ის სახლიდან 10 კილომეტრის დაშორებით იპოვეს. პოლიციელების თქმით, მას დაკავების დროს წინააღმდეგობა არ გაუწევია და სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა. გოგონამ დანაშაული აღიარა.

პოლიციაში დაადასტურეს, რომ გოგონამ კედელზე სისხლით დაწერილი წერილი დატოვა, მაგრამ უარი თქვეს იმის გახმაურებაზე, თუ რა ეწერა შეტყობინებაში.

დაღუპული ბავშვის დედის ყოფილი პარტნიორის თქმით, გოგონა მათი დაშორების შემდეგ თავს განმარტოებულად, ყურადღებამოკლებულად თვლიდა და ბავშვებზე ეჭვიანობდა. 15 წლის მოსწავლეს 10 წლით პატიმრობა ემუქრება.

# ზვიგენებმა შვიდმეტრიანი ვეშაპი ცოცხლად შეჭამეს

ბიოლოგებმა პირველად დააფიქსირეს დიდი თეთრი ზვიგენების კუზიან ვეშაპზე თავდასხმის შემთხვევა.

ინციდენტი ჯერ კიდევ 2017 წელს აფრიკის სანაპიროსთან სამხრეთ აფრიკის ქალაქ მოსელბაის მახლობლად მოხდა. სათევზაო ბადეში გახლართული შვიდმეტრიანი კუზიანი ვეშაპი კვლევითი ხომალდიდან შენიშნეს. ის არაქათგამოცლილი იყო, ხოლო კანი ვეშაპს პარაზიტებით ჰქონდა დაფარული.

ადგილზე კვლევითი ხომალდის მისვლისთანავე, ვეშაპის გვერდით ორი დიდი თეთრი ზვიგენი გამოჩნდა. ერთის სიგრძე ოთხ მეტრს აღწევდა, მეორე შედარებით პატარა ზომის იყო. ერთი საათის განმავლობაში მტაცებლები ვეშაპს ფრთხილად უტევდნენ კუდის მხრიდან. ყოველი კბენის შემდეგ ისინი დიდი ხნით ანებებდნენ მას თავს, მის საბოლოო დასუსტებას ელოდებოდნენ. ერთი საათის შემდეგ კი ოთხმეტრიანი ზვიგენი ვეშაპს თავს უკვე წინიდან დაესხა, რის შემდეგაც ზვიგენებმა ის ცოცხლად დაგლიჯეს. ეს ყოველივე დაახლოვებით 90 წუთს გაგრძელდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# გამდიდრებაზე მეოცნებე გოგონამ ქალწულობა მილიონ-ნახევარ ევროდ გაყიდა



გერმანელმა სტუდენტმა გოგონამ, რომელიც გამდიდრებაზე ოცნებობდა, განაცხადა, რომ ინტერნეტში სპეციალური ვებგვერდის დახმარებით საკუთარი ქალწულობა მილიონ-ნახევარ ევროდ გაყიდა და ამით ოცნება აიხდინა.

21 წლის იზაბელამ, რომელმაც გვარის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ღარიბ და მორწმუნე ოჯახში იზრდებოდა. მისი მშობლები ყოველთვის ქორწილამდე სექსის წინააღმდეგები იყვნენ, თუმცა 20 წლის ასაკში გოგონამ გადაწყვიტა, რომ მართალია, თავისი ოცნების მამაკაცს ვერ შეხვდა, თუმცა მამაკაცთან ახლო ურთიერთობისგან თავის შეკავებაც აღარ სურდა. მან, ვინაიდან ყოველთვის გამდიდრებაზე ოცნებობდა, გადაწყვიტა, ქალწულობა გაეყიდა.

– მიმაჩნია, რომ ქალწულობა და სექსი გადაფასებულია, ვინაიდან ჩემთვის ამაში არ არის და არც ყოფილა რამე განსაკუთრებული. პირველად სექსი იგივეა, პირველად რომ ითამაშო კალათბურთი, – განაცხადა იზაბელამ. მან იქვე ამაყად განაცხადა, რომ შეეძლო, თავად აერჩია, თუ ვისთან გაეტარებინა პირველი ღამე, ვინაიდან რამდენიმე მამაკაცმა შესთავაზა დაახლოებით მილიონი ევრო.

გოგონამ გერმანელი ფეხბურთის მენეჯერი აირჩია, რომელმაც სექსში 1,4 მილიონი ევრო გადაუხადა. მისი მტკიცებით, ის სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა მასთან პირველად შეხვედრის შემდეგ. მამაკაცმა მას საჩუქრად გუჩის ხელჩანთა უყიდა და ბევრი საინტერესო რამ მოუთხრო საკუთარ სამსახურზე. სასტუმროს ნომერში განმარტოებამდე მამაკაცმა ექიმი გამოიძახა, რათა მას დაედასტურებინა, რომ იზაბელა ქალწული იყო. მეორე დილით მათ ერთად ისაუზმეს და შემდეგ გოგონა სახლში წავიდა.

იზაბელა ამტკიცებს, რომ ფეხბურთის მენეჯერთან ურთიერთობის გაგრძელებას გეგმავს, რისთვისაც ის მისგან ყოველ თვეში 10 ათას ევროს მიიღებს. ასევე, გოგონას მტკიცებით, მშობლებმა არ იციან, რა ჩაიდინა მან.


# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბელარუსთან მატჩის გამართვა ივნისში იგეგმება

მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის გამო ქართული ფეხბურთი შესვენებაზეა გასული. გადაიდო ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ფლეი ოფის მატჩი ბელარუსთან, დროებით შეწყვეტილია ეროვნული ჩემპიონატი.

როგორ გაგრძელდება მოვლენები, ამასთან დაკავშირებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა, გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა და ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა ინტერნეტპრესკონფერენცია გამართეს.

**ლევან კობიაშვილი:**

– საქართველო-ბელარუსის ჩატარების სავარაუდო თარიღი არის ივნისი, მაგრამ ეს არ არის სრულად გადაწყვეტილი და დამოკიდებულია კორონავირუსზე, გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები.

ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტადიონზე გულშემატკივრის ყოფნა და მით უმეტეს ასეთ მატჩში, ამიტომაც გავუსვით ხაზი, რომ ამ მატჩის ჩატარება მაყურებლის გარეშე გამოსავალი არ იყო. განცხადებაში იმაზეც ვისაუბრე, რომ ფეხბურთელებიც საფრთხის წინაშე იდგნენ, რადგან უწევდათ გადაადგილება. გვიხარია, რომ უეფამ თამაში გადადო, რა თქმა უნდა, არ გვიხარია, რომ მარტში არ ტარდება, მაგრამ შექმნილ ვითარებაში იდეალური გამოსავალი მატჩის გადადება იყო.

***– საქართველოს ნაკრებისთვის როდის უფრო მისაღები იყო ბელარუსთან მატჩის ჩატარება – მარტში თუ ივნისში?***

– ვფიქრობ, მარტში თამაში უკეთესი იყო. თუ ისტორიას გადავხედავთ, გაზაფხულის დასაწყისში ყოველთვის დადებითი შედეგები გვაქვს. თუმცა, ამჯერად ივნისში ყველაფერი სხვანაირად იქნება. თუ ადრე ივნისში ფეხბურთელებს ნაკრებში ძირითადად სათამაშო პრაქტიკის გარეშე უწევდათ ჩამოსვლა, რადგან სეზონი დასრულებული იყო, ახლა, როცა ყველა ჩემპიონატი შეჩერებულია, ივნისში გახურებული სეზონი იქნება. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, ჩვენს ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა ექნებათ. აქედან გამომდინარე მგონია, რომ ახლანდელ ივნისში სხვანაირი სიტუაცია იქნება, ვიდრე გასულ წლებში.

***– თუ ფლეი ოფი ივნისში არ გაიმართება, მოიაზრება სხვა ალტერნატიული თარიღი ან მასპინძლის შეცვლა?***

– სხვა ფედერაციებთან კომუნიკაცია გვქონდა და ისინიც ჩვენნაირ რეჟიმში იყვნენ, არ იცოდნენ, რა მოხდებოდა. რაც შეეხება მომავალს, თუ ივნისში თამაში ვერ მოხერხდა, მაშინ არ ვიცით, რა მოხდება, რადგან სხვა ფანჯრები, ჯერჯერობით, თავისუფალი არაა. ახლა ამ თემაზე პასუხი ნამდვილად გამიჭირდა. რაც შეეხება მასპინძელი სტადიონის შეცვლას, ეს არ მოხდება და მატჩი „დინამო არენაზე" იქნება.

***– რამე აქტივობები ხომ არ იგეგმებოდა ან იგეგმება ბელარუსთან მატჩთან დაკავშირებით?***

– მარტის თამაშის დროს დაგეგმილი გვქონდა ფან ზონის გაკეთება და ამას ისევ ვაპირებთ, აუცილებლად გავაკეთებთ, როდესაც თამაში ჩატარდება და ადამიანებს, რომლებმაც ბილეთები ვერ შეიძინეს, ექნებათ შესაძლებლობა, ფან ზონაში ახლობლებთან ერთად უყურონ თამაშს.

***– ჯანო ანანიძე ტრავმირებულია. ასწრებს გამოჯანმრთელებას ივნისამდე?***

– ჯანოს იმედი გვაქვს და ეს თავადაც კარგად იცის. მისი და ნაკრების ყველა წევრის მდგომარეობით მუდმივად ვინტერესდებით. ანანიძესთან კომუნიკაცია მუდმივად გვაქვს. ჯანოს აქვს იმედი, რომ ივნისამდე სრულყოფილად მოახერხებს რეაბილიტაციას, დაიწყებს ვარჯიშსა და თამაშს. ანანიძე თამაშის გადადებით გახარებულია, რადგან შანსი მიეცა, რომ შემოგვიერთდეს და დაგვეხმაროს.

***– გაჩერებულია ეროვნული ჩემპიონატიც. რას უნდა ველოდოთ უახლოეს ხანში?***

– ეროვნული ლიგის განახლებასთან დაკავშირებით რამდენიმე გეგმა გვაქვს, მაგრამ მაინც დამოკიდებული ვართ განვითარებულ მოვლენებზე და ამის მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას.

***– ვიტ ჯორჯიას ფეხბურთელ პაატა ღუდუშაურს გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით სასამართლომ განრიდება მისცა, მაგრამ ტრიბუნალმა წლის ბოლომდე მაინც აუკრძალა თამაში.***

– პაატა ღუდუშაურის სასჯელი ტრიბუნალმა შეცვალა და 2020 წლის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული, ხოლო ერთი წლით პირობით აქვს და გამეორების შემთხვევაში დაბრუნდება ძალაში სამუდამო დისკვალიფიკაცია.

ჩვენი პოზიცია გარიგებულ მატჩებზე არის უმკაცრესი, ვერასდროს შევეგუები გარიგებულ მატჩებს და ფედერაციას ყოველთვის ექნება უმკაცრესი პოზიცია. თუმცა, ტრიბუნალს აქვს თავისი გადაწყვეტილების მიღების უფლება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა ვლადიმირ ვაისის კონტრაქტსა და გიორგი მელქაძის საქართველოს ნაკრებში თამაშის შესაძლებლობაზე ისაუბრა.

**ალექსანდრე იაშვილი:**

– ძალიან კმაყოფილი ვართ ვლადიმირ ვაისის მუშაობით. როგორც იცით, მას კონტრაქტი მარტის ბოლომდე აქვს გაფორმებული, ამ თამაშების შემდეგ ეწურებოდა, მაგრამ რადგან მატჩები გადაიდო, გვინდა მისი გახანგრძლივება, რადგან ჩვენი სურვილია, რომ ნაკრები ფლეი ოფის ამ მატჩებისთვის, ივნისში გაიმართება თუ სხვა დროს, მოამზადოს ვაისმა. გვაქვს მასთან კომუნიკაცია, დანარჩენს კი დრო სჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ შეთანხმებას მოვახერხებთ.

რაც შეეხება გიორგი მელქაძის ჩვენს ნაკრებში გადმოყვანას, მის მშობლებთან კომუნიკაცია დიდი ხნის წინ გვქონდა, მაგრამ ფიფას საკმაოდ გართულებული აქვს წესები და თუ ეს წესები არ შეიცვალა, მისი საქართველოს ნაკრებში თამაში რთული იქნება, თუნდაც სურვილი ფეხბურთელის მხრიდან იყოს.

ვმუშაობთ ამ თემაზე და ფიფას მივმართეთ, რომ წესები შეიცვალოს. ფეხბურთელს, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებში ოფიციალურ თამაშს ჩაატარებს, იმ მომენტში ორმაგი მოქალაქეობა უნდა ჰქონდეს, რომ მოგვიანებით ნაკრები შეიცვალოს.

***– როგორია ეროვნული გუნდის ფეხბურთელების მდგომარეობა და კორონავირუსის სწრაფად გავრცელების პირობებში რომელიმე მათგანი კარანტინში ხომ არ იმყოფება?***

– ნაკრების ყველა ფეხბურთელი კარგ მდგომარეობაშია, კარანტინში არავინ იმყოფება. მოგეხსენებათ, თითქმის ყველა ჩემპიონატი შეჩერებულია. სახლში იმყოფებიან, ფეხბურთელებს ინდივიდუალური დავალებები მიცემული აქვთ და მათ სახლში ასრულებენ.



# ბუფონი: „რა კარგია, როცა წიგნებს კითხულობ და სუფთა ჰაერს სუნთქავ"

## იტალიის სერია ა, შესაძლოა, 3 მაისს განახლდეს

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, გაბრიელე გრავინას, განცხადებით, ქვეყნის ჩემპიონატი, შესაძლოა, 3 მაისს განახლდეს.

**გაბრიელე გრავინა:**

– დიახ, ჩვენ შემუშავებული გვაქვს კალენდარი და, თუ ქვეყანაში არსებულმა ვითარებამ მოგვცა საშუალება, მაშინ ჩემპიონატი მაისში განახლდება. ყველას კარგად გვესმის, რომ წინ მძიმე ფინანსური პერიოდის გადალახვა მოგვიწევს, მაგრამ სპორტს შეუძლია ადამიანების გაერთიანება და იმედის მიცემა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ასეთი აქტივობების განახლება. თუმცა, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველანაირი სცენარისთვის.

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ თარიღების მეტად კორექტირებაც გახდეს საჭირო და ჩემპიონატი, პირობითად, 30 ივლისსაც დასრულდეს. უეფა ამ ყველაფრის საქმის კურსშია.

ყველაფერთან ერთად, სანაკრებო ფანჯარა ივნისშია გამოყოფილი, რაც დამატებით დროს მოითხოვს. ბევრი ვარიანტი ვრცელდებოდა ჩემპიონატის შესაძლო დასრულებაზე, მაგრამ ამას არ დავუშვებდი, რადგან ეს გულშემატკივრების მიმართ დიდი უპატივცემლობა იქნებოდა.

კალენდარში ასევე გათვალისწინებულია იტალიის თასიც. ეს არის მნიშვნელოვანი ტურნირი და გარკვეულ გუნდებს შანსიც კი აქვთ, წარმატების შემთხვევაში, ევროზონის ადგილი მოიპოვონ.

ამასობაში თავად იტალიური კლუბები მომავალი კვირიდან ვარჯიშების განახლებას გეგმავენ.

პირველმა ამის სურვილი ლაციომ გამოთქვა, რის გამოც რომაული კლუბს იტალიაში მასობრივად აკრიტიკებენ.

ლაციოს პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს თქმით, მან ვარჯიშის განახლების შესახებ გადაწყვეტილება



იმის გამო მიიღო, რომ გუნდი ფორმიდან არ ამოვარდეს. ამის გამო ლოტიტო კრიტიკის უმთავრესი ობიექტია.

ფეხბურთელთა გაერთიანების პრეზიდენტი დამიანო ტომაზი აცხადებს, რომ მოთამაშეები, ისევე, როგორც ყველა ადამიანი, სახლში უნდა დარჩნენ.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა კლუბმა დაიცვას წესები და ფეხბურთელების უსაფრთხოება დააყენოს პირველ ადგილზე, – ეს მილანის ინტერის გენერალური მენეჯერის, ჯუზეპე მაროტას სიტყვებია.

ლოტიტო არ არის ერთადერთი პრეზიდენტი, ვინც კლუბის ვარჯიშების განახლების მომხრეა. მომავალ კვირაში ვარჯიშის დაწყება კალიარისა და ბრეშაშიც სურთ.

ტურინის იუვენტუსის ვეტერანი ჯანლუიჯი ბუფონი კი ყველას წესების დაცვის მორჩილებისკენ მოუწოდებს.

ჯიჯი ახლა შინ საკუთარ ოჯახთან ერთად იმყოფება:

– თავიდან 2 დღე რთული აღმოჩნდა, მაგრამ ადამიანები ნებისმიერ სიტუაციას ვუმკლავდებით და ადაპტაციას მალევე გავდივართ. სამზარეულოში ყოველთვის იპოვით რამეს, ასე რომ ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში მაქვს. არსებული სიტუაცია პირადად ჩემთვის კომფორტულია – საკუთარი სახლი ბაღით და სიმშვიდეში ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა. გაცილებით რთულ ვითარებაშია ის, ვინც საცხოვრებელ კომპლექსებში იმყოფებიან, მაგრამ ნებისმიერ სიტუაციაში ჩვენ ვალდებულები ვართ, წესებს დავემორჩილოთ.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ამ დღეებში ტურინში სახლის ფანჯრების გახსნისას სუფთა ჰაერს სუნთქავ, გრჩება დრო, რომ წაიკითხო – ასეთი რამეები ადამიანებს გვაერთიანებს და უკეთესობისკენ გვიბიძგებს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# 180 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნილი მთამსვლელი ცოცხალი გადარჩა

ინგლისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ტბების მხარის მთებში, მთამსვლელი 180 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და ცოცხალი თოვლზე დაცემის წყალობით გადარჩა.

53 წლის რიჩარდ ტიპლადი მწვერვალის დასაპყრობად მარტის პირველ დღეებში მეგობართან ერთად გაემართა. ასვლის დროს ის მთიდან გადმოვარდა და თოვლის დიდ გროვაზე დაეცა, რომელიც ზვავის ჩამოწოლის შედეგს წარმოადგენდა. თოვლს რომ არ შეეჩერებინა, მამაკაცი ვარდნას გააგრძელებდა. მას კლდის შვერილამდე სულ ექვსი მეტრი აშორებდა.

დაცემის შედეგად მან კისრის და იდაყვის მოტეხილობა მიიღო, თუმცა მაინც მოახერხა მაშველებთან დაკავშირება. ის ერთ საათში აღმოაჩინეს. მაშველებმა ტიპლადი საავადმყოფოში გადაიყვანეს სადაც მას თავზე 60-ზე მეტი ნაკერი დაადეს. მამაკაცი გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ აპირებს მწვერვალის დაპყრობას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტთან არსებული ერთიანი ნაციონალური სამსახურის ჯგუფის უფროსი, აწ პენსიონერი

**ლალი კახიანი**

გამოსვენება: 21 მარტს, 14 საათზე, კ. ქუთათელაძის (შანხაისთან) 17.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 2. სამეჯლისო ცეკვა; 3. ფერადი, გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნაჭრები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 5. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 6. კახეთში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული სუფრის ჯიში; 8. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 12. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 14. დაბალი ხარისხის შაქარი; 15. მათემატიკური ორწევრი; 16. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია.

**თარაზულად**: 1. კომბინაცია პოკერში; 4. ყურანის მიხედვით, მუსლიმანურ სამოთხეში მცხოვრები მარად ნორჩი ლამაზი ქალები; 7. ლითონის ფული; 9. ალბანეთის დედაქალაქი; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 18. სასტუმრო თბილისში; 13. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 17. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 18. აზრი, ჩანაფიქრი; 19. ფიფას პრეზიდენტი; 20. მოხალული სიმინდი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. მაკეტი; 2. საფარა; 3. ბარჯი; 5. ვეძა; 6. დოლარი; 8. იადონი; 11. მაესტრო; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. მოდრიჩი; 19. დოყი.

**თარაზულად**: 1. მძლეოსნობა; 4. ჰონვედი; 7. კადრიფი; 9. ჯაკარტა; 10. ომარი; 12. ბრონსონი; 16. რიგოლეტო; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კამეოლი; 21. კაფი; 22. მიუზიკლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დუდა. 2. შიში; 3. არიეტა; 5. ხუნდი; 6. ლანჩხუთი; 8. კომპრომისი; 10. ჰიგინსი; 12. ცენზორი; 14. ორტეგა; 15. სოფიტი; 16. ლეოვი.

**თარაზულად**: 1. დეპეშა; 4. თხუელა; 7. ბუშელი; 9. ტოშიბა; 11. ამფიბია; 12. ცუცხვათი; 13. მიმინო; 17. ბაროკო; 18. კიჩო; 19. ორნამენტი; 20. ტიტიკაკა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1568

ევრო — 3.4109

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6376

100 რუსული რუბლი — 4.0835

## ამინდის პროგნოზი 20 მარტისთვის








## 17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

# მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## „ჩემი ცოლის დაქალების“ გადაღებები შეწყდა




ფორმულა კრეატივის სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ გადაღებები შეწყდა. გადაწყვეტილება მისმა შემქმნელებმა მიიღეს და ოფიციალური განცხადებაც გაავრცელეს:

— ვიცით, ყველა მოუთმენლად ელოდებით „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალ სერიებს, თუმცა, სამწუხაროდ, უნდა გაცნობოთ, რომ იძულებულები გავხდით, გადაღებები დროებით შეგვეჩერებინა.

ამ დრომდე 3 გადამღები ჯგუფი მუშაობდა ყოველდღე, რათა ყოველ პარასკევს, შაბათსა და კვირას თქვენამდე მოგვეტანა ის, რაც ასე ძალიან გვიყვარს, თუმცა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გვაიძულებს, შევწყვიტოთ სამუშაო პროცესი. ჩვენ თავს ვალდებულად ვთვლით, ვიზრუნოთ ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობაზე და მაქსიმალურად შევზღუდოთ ვირუსის გავრცელების რისკი. ??

დავბრუნდებით, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება.

მანამდე კი შეგიძლიათ, თვალი გადაავლოთ „ჩემი ცოლის დაქალების“ ყველა არსებულ სერიას ჩვენს ოფიციალურ საიტზე.

სერიალის დაბრუნების ზუსტი თარიღი დაიდება ჩვენს ფეისბუქგვერდზე.

გაუფრთხილდით თავს, დაიცავით რეკომენდაციები.

გისურვებთ ჯანმრთელობას.

## უკრაინული „ვოისის“ რინგზე 2 ქართველი შეაჯიბრეს

უკრიანული „ვოისის“ ახალ სეზონში რამდენიმე ქართველი მონაწილეობს. მწვრთნელების გადაწყვეტილებით, მუსიკალურ რინგზე ერთმანეთს მარიამ ჟორდანია და ანასტასია ქართველიშვილი დაუპირისპირდნენ.



მწვრთნელების გადაწყვეტილებით, პროექტში ანასტასია ქართველიშვილი დარჩა, შოუს კი მარიამ ჟორდანია გამოეთიშა.

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, იაპონური მანქანა ვიყიდე, სიჩქარეთა კოლოფის მართვა საკუთარი გონებით შეიძლება...

— მერე, როგორია?

— არ ვიცი, ჯერ ხელის მუხრუჭიდან ვერ მოვხსენი...

•••

ტურისტული სააგენტოს განცხადება:

— ტურისტული სააგენტო გთავაზობთ იტალიის ტურებს დაბალ ფასებში და დამატებით მიიღებთ ორკვირიან დასვენებას საკუთარ სახლში საჩუქრად.

•••

მამაკაცს ეკითხებიან:

— ფულის სამომავლოდ გადადების შესაძლებლობა გაქვთ?

— შესაძლებლობა მაქვს, ფული არა.

•••

სექსის შემდეგ ქალი კაცს ეკითხება:

— პროფესიით ანესთეზიოლოგი ხომ არ ხარ?

— კი, როგორ გამოიცანი?

— ვერაფერი ვიგრძენი.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ყრუ და ბრმა ვიყავი და არც ტვინი მქონდა, შენ რომ ცოლად გამოგყევი...

— ხედავ, ქალო, ამდენი ნაკლის მიუხედავად, მაინც ცოლად მოგიყვანე, შენ კი მაინც არ ხარ მადლობელი!

•••

ბიჭი გოგონას ეკითხება:

— გოგონი, ნელი მუსიკაა და ასე სწრაფად რატომ ცეკვავთ?

— დრო არ მაქვს! სწრაფად ვიცეკვებ და სახლში წავალ!

## მოჰამედ სალაჰი ეგვიპტეს ვირუსთან ბრძოლაში 1 მილიონით დაეხმარა



ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდი მოჰამედ სალაჰი კორონავირუსთან ბრძოლაში ჩაერთო და თავის ქვეყანას 1 მილიონი ევროთი დაეხმარა.

ამის შესახებ ინფორმაცია ეგვიპტის სპორტის მინისტრმა დაადასტურა.

მან საჯარო მადლობა გადაუხადა სალაჰს და თქვა, რომ ის ნამდვილი პატრიოტია.

ეგვიპტეში ამჟამად 210 დაინფიცირებულია კორონავირუსით და მათგან მხოლოდ 6 გარდაიცვალა, თუმცა ქვეყანაში მაინც ისეთივე აკრძალვებია, როგორიც სხვაგან.

თვითონ სალაჰი ამჟამად ინდივიდუალურად ვარჯიშობს, ისევე, როგორც მისი თანაგუნდელები.

## პრემიერ ლიგა 30 აპრილამდე გააჩერეს



ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ინგლისის პრემიერ ლიგა სტარტს 30 აპრილამდე არ აიღებს. ეს გადაწყვეტილება მაყურებლის უსაფრთხოების გამო იქნა მიღებული, რადგან კორონავირუსი ჯერ კიდევ აქტიურად ვრცელდება.

ამჟამად ბრიტანეთში დაინფიცირებულთა რიცხვი 2.687 აღწევს, ხოლო გარდაცვლილია 72 ადამიანი.

ინგლისში სეზონის დასრულებას, სავარაუდოდ, ივლისის შუა რიცხვებში აპირებენ.

## მიკელ არტეტა თავს კარგად გრძნობს და მალე გამოჯანმრთელდება



არსენალის მთავარი მწვრთნელი მიკელ არტეტა თავს კარგად გრძნობს და რამდენიმე დღეში ექიმები მის სრულ გამოჯანმრთელებას ელიან.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ არსენალი ერთი კვირის შემდეგ აპირებს აქტიური ვარჯიშების განახლებას, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ჩემპიონატი 30 აპრილამდე არ განახლდება.

თვითონ არტეტამ განაცხადა, რომ მას სურს, სამუშაოს რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს.

მოამზადა
ბექა გოგინაშვილმა

## გოგი გვახარია თვითიზოლაციაში



კინომცოდნე გოგი გვახარია თვითიზოლაციაშია. მას შვებულება და გერმანიასა და ამერიკაში მოგზაურობა შეზღუდვების ფასად დაუჯდა.

გოგი გვახარია ბერლინის კინოფესტივალზე მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, მოგვიანებით კი ამერიკაში წავიდა.

მსოფლიოში კორონავირუსით დაინფიცირებულთა შემთხვევების გაზრდის გამო კინომცოდნემ გადაწყვიტა, ორი კვირა თვითიზოლაციაში გაატაროს, რათა პირველ რიგში თავისი და შემდგომ გარშემომყოფების ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნას.

## „ევროვიზია 2020“ აღარ ჩატარდება




წელს ევროვიზიის კონკურსი აღარ ჩატარდება.

ინფორმაცია ამის შესახებ ევროპის მაუწყებელთა კავშირმა გაავრცელა. კონკურსის ორგანიზატორთა ოფიციალური ინფორმაციით, ევროვიზიის გადადების მიზეზი მსოფლიოში გავრცელებული კორონავირუსია.

ევროფესტივალი როტერდამში 12, 14 და 16 მაისს უნდა გამართულიყო. 2020 წლის ევროვიზიის კონკურსზე საქართველოს თორნიკე ყიფიანი წარადგენდა. როგორც საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განაცხადა, მომავალი წლის ევროვიზიაზე საქართველოს კვლავ თორნიკე ყიფიანი წარადგენს.

ამ ეტაპისთვის ჯერ უცნობია, გაიმართება თუ არა სიმღერის საერთაშორისო კონკურსი კვლავ როტერდამში 2021 წელს. აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპის მაუწყებელთა კავშირი ნიდერლანდებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 20 მარტისთვის

**ვერძი** — კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. კოლეგებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **კურო** — მთლიანობაში, თქვენი მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. ელოდეთ ძვირფას სტუმრებს. მეორე ნახევარი თქვენით ამაყობს. **ტყუპები** — ენერგიულად ხართ. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან შესახვედრად, სამოგზაუროდ. რასაც ჩაიფიქრებთ, ყველაფრის რეალიზებას მოახერხებთ. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი დღეა. წარმატებული პერიოდია გეგმების განსახორციელებლად. ახლობლებს მრავალ ბედნიერ წუთს აჩუქებთ. **ლომი** — შესაძლებლობა გეძლევათ, ახალი საინტერესო ადამიანები გაიცნოთ. მათთან ურთიერთობა სასიკეთოდ წაგადგებათ. დაიცავით კვების რეჟიმი. **ქალწული** — ნუ გადაიღლებით. ეს თქვენი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. ახალი საქმის დაწყება არ ღირს. იყავით თავდაჯერებული და იმ სიძნელეებს არ შეუშინდეთ, რომლებიც დღეს შეგხვდებათ. **სასწორი** — მიუხედავად უსიამოვნო სიურპრიზებისა, ბეჯითად იმუშავეთ. ახლობელთან კონფლიქტის მოგვარებასაც შეძლებთ. ყური უგდეთ ჭკვიანი ადამიანების რჩევებს. **მორიელი** — მშვიდი და პასიური დღეა. გუნდური მუშაობა წარმატებული იქნება. ნუ ეცდებით, იყოთ ორიგინალური. თავმდაბლად იშრომეთ. **მშვილდოსანი** — იმედები გაგიმართლებთ, განსაკუთრებით მოგზაურობისას და მივლინებისას. იყავით ინიციატივიანი და ხელმძღვანელობა ამას დაგიფასებთ. ახალი იდეების განხორციელებას დღესვე შეუდექით. **თხის რქა** — მომავალი თამამად დაგეგმეთ. ბედი გწყალობთ. წარმატებული დღე გაქვთ. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **მერწყული** — წინააღმდეგობრივი დღეა. ძველ მეგობრებთან შეხვედრა ძალიან გაგახარებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა რეკომენდებული არ არის. **თევზები** — იზრდება შრომის ნაყოფიერება. იზრუნეთ საკუთარ იმიჯზე, იყავით პრინციპული, თუმცა გონივრულ კომპრომისზე წასვლაც არ დაგაზარალებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. საერთაშორისო საბანკო ანგარიშსწორების ჩეკი; 2. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 3. იაპონიაში ყველაზე დიდი, ოსაკას აეროპორტი; 5. პოეტის შთაგონების წყარო; 6. ძველებური სავაჭრო სასადილო; 8. ქართველი ავტომრბოლელი; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 14. მომთაბარე არაბი; 15. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა; 19. წითელი ფერის ძვირფასი ქვა.

**თარაზულად**: 1. პიროვნების გაძევება სახელმწიფოდან; 4. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონთა კრებული; 7. ტრამვაის მძღოლი; 9. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 10. ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 12. ევროპაში მოღვაწე ქართველი მოდელიერი; 16. მხარე გერმანიაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცებულების გზით; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 20. ქალის სასიმღერო ხმა; 21. პროვინციის მმართველი თურქეთში; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

